

საქართველო

საქართველო
საბჭოთაო

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თფით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარანის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: ღუი ჰასტური, X-სა.—სხვა-და-სხვა ამბები — მთავრობის განკარგულება.—კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—ცეცხები, შოთ. ფრანკოსი.—ცინის კედლები შუა, შოთ. სკიტალებსა.—ქაღათა სტიპენდიების გამო, ე. ქ—ძისა.—შენიშვნა, მასაუბრისა.—ცოტა რამ ისტორიული მეცნიერებიდან, გ. რაბაქიძისა.—ბიბლიოგრაფია, ია-სი.—ადამიანის უზინარი მტრები, ი. გ—ლისა.—წერილი რედ. მიმართ.—განცხ.—

მეცნიერები.

5. ღუი ჰასტური.

საფრანგეთი—გამოჩენილ ადამიანთა ქვეყანაა. ადამიანის კულტურის და ცივილიზაციის ყოველ ასპარეზზე მას ყავს გენიოსური წარმომადგენლები. პირველი ადგილი უჭირავს მას ქიმიკოსი. დავანებოთ თავი ურიცხვ მეცნიერთ, რომელნიც თავისი მუდმივი მუშაობით ნელ-ნელა წინ წევდენ ადამიანის აზროვნებას. საკმარისი დავასახელოთ მხოლოდ ორი კაცი. ერთია — ლავუაზიე, მეორე—პასტერი. პირველმა დაუღო მედიკოსი საფუძველი თანამედროვე ქიმიას და ბიოლოგიას, მეორემ კი შექმნა ახალი მეცნიერება—მიკრობიოლოგია. მან გაამდიდრა მეცნიერება არა ერთი აღმოჩენით. ეს კიდევ ცოტაა. მან იხსნა კაცობრიობა საშინელი ტანჯვისაგან, რომელსაც ეწოდება ცოფი. მისი წყალობითაა, დღეს რომ რჩებიან ამ გულშემზარავი ავათყოფობისაგან.



ღუი ჰასტური.

მარა სანამ მის მეცნიერულ მოღვაწეობას განვიხილავდეთ, გავიგოთ, ვინ იყო ისა. პასტერის მამა იყო ნასალდათარი. სამსახურის შემდეგ მან შეიძინა პატარა ტყავის ქარხანა არბუაში. და აი აქ, მუშებთა შორის დაიბადა ჩვენი დიდებული მეცნიერი. ახალგაზდა პასტერი ადრე მიაბარეს ული მეცნიერებაში. იმას თავს

შკოლაში. მამა მისი თვითონ ადევნებდა თვალს შეიღის მეცადინეობას. როგორც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, ბავშობაში პასტერს არაფერი ისეთი თავისებურება არ ეტყობოდა, რომ შეგეძლოთ გეთქვათ—დიდებული მეცნიერი იზღებოა. პირიქით ახლ გაზდა პასტერი გატაცებით ეძღეოდა მხატვრობას.

დღესაც მის მიერ დახატულ სურათებს შეხედება კაცი მის სამშობლო ქალაქის ოჯახებში. თოთხმეტი წლის პასტერს დაეტყო ცდელიება. იმან მიანება თავი უღარდელათ დროს გატარებას, მიავლო კუთხეში სამხატვრო მასალები და მოკიდა ხელი წიგნებს. აქ მან გამოიჩინა საოცარი ნიჭი, რის გამო ის გადაიყვანეს ბენანსონის კოლეგიაში. აქედან პასტერი შევიდა ნორმალურ შკოლაში, რომელიც დაასრულა 1847 წ. დოქტორის ხარისხით. ამის შემდეგ ის დანიშნეს ფიზიკის პროფესორათ ლიჟონში. კიდევ რამდენიმე ადგილას იყო ის პროფესორათ. ბოლოს 1857 წელს იმან მიიღო ნორმალური შკოლის დირექტორობა. ეს ისეთი სასწავლებელია, რომლის კედლებს შუა თავს იყრიან საფრანგეთის დამშვენებელი მეცნიერები. ამას შემდეგ პასტერის ცხოვრება არის გამარჯვების დღესასწაული ევლება მთელი საფრანგეთი.

დიდებული მეცნიერი. ახალგაზდა პასტერი ადრე მიაბარეს ული მეცნიერებაში. იმას თავს

გათაცობით თვალს ადევნებს მის მოღვაწეობას მთელი კაცობრიობა და ცდილობს ყოველნაირათ გამოხატოს მის წივაზე თავისი აღტაცება და განუსაზღვრელი პატივისცემა.

პასტერის მოღვაწეობაში მჭიდროდ შეკავშირებულია ორი მხარე: თეორიული და პრაქტიკული. ყოველ მის აღმოჩენას თან მოსდევს რაიმე პრაქტიკული დასკვნა, რომელიც კაცობრიობას დიდ სიკეთეს უქადის. ჩვენ აქ ვერ შევძლებთ დაწვრილებით გავიხილოთ მისი მეცნიერული მოღვაწეობა. ამიტომ დაეკმაყოფილდეთ მისი საზოგადო თეორიული შეხედულებების გამორკვევით და პრაქტიკული აღმოჩენების დასახელებით.

ყოველ ჩვენგანს დანახული ექნება, თუ როგორ იხრწნება, ღებება ეს თუ ის სხეული. ორი, სამი დღით თავს მიწებებულნი ხორცის ნაჭერი ცუდ სუნს გამოცემს და ამავე დროს მაზე ჩნდებიან მატლები. წმინდა ბულიონი გინდ წყალი რამდენიმე დღით თავ მიწებებულნი ფერს იცვლის, იმღვრება, და სიღამპლის სუნი მიეცემა. თუ ასეთი ბულიონის წვეთს განვიხილავთ მიკროსკოპის შემწეობით, აღმოჩნდება, რომ მაში დატრიალებენ უთვალავი პაწაწა არსებანი, მიკროორგანიზმები. აქ უნებლათ იბადება კითხვა: საიდან გაჩნდნ ეს მატლები ხორცში და მიკროორგანიზმები წყალში და ბულიონში? თავისთავათ გაჩნდნ ისინი, თუ მათი ჩანასახი ჰაერში დაფრიალებს და როცა შესაფერ ნიადაგს იბრუნებს მრავლდება და ცხოვრობს? თუ პირველი მოსაზრება აღვიარეთ ქეშმარიტებათ, მაშინ ჩვენ ვიქნებით დამოუკიდებელ, ანუ თვით ჩასახვის თეორიის მომხრე, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მოწინააღმდეგე.

თვით ჩასახვის თეორია მეტათ ძველი შეხედულებაა. ის მკაფიოთ გამოთქვა ძველი აზროვნების ერთმა გენიოსმა წარმომადგენელმა, არისტოტელმა; მის შემდეგ დახანს აღიარებული იყო ქეშმარიტებათ და ვერც ვერაჲინ ბედავდა მის წინააღმდეგ გალაშქრებას. თუ რამდენათ შორს მიდიოდნ თვით ჩასახვის თეორიის მომხრენი, ამის დასანახავათ საკმარისია გხოლოთ ერთი მაგალითი.

ხშირათ ამა თუ იმ გუბეში თქვენ ვერაფრითარ სიცოცხლის ნიშანს ვერ ამჩნევთ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თქვენ წინ ჩნდება მთელი გუნდი კომბალებისა, შექმდე ეს კომბალები იქცევიან ბაყაყებათ, რომელნიც თავისი მწყობრი ყიყინით ეგებებიან და აცილებენ სიცოცხლის წყაროს — მზეს. საიდან გაჩნდნ ეს კომბალები? საშეალო საუკუნის ერთმა ეცნიერმა, მატეოლემ, ის აზრი გამოთქვა, რომ კომბალები ჩნდებიან მზის სხივების სიცხოველისაგანო. ეს ახსნა დიდა აღტაცებით მიიღეს.

აქედან ჩვენ ნათლათ ვხედავთ, თუ რამდენათ შორს ყოფილან ქეშმარიტებისაგან ჩამინდელი მეცნიერნი.

მხოლოთ 1668 წელს ფრანჩესკო რედი შეკვდა იმის გამოკვლევას, თუ როგორ ჩნდება მატლები დამპალ ხორცში. იმან მოახდინა რამდენიმე ცდა, რომელთაგანაც საყურადღებო დასკვნა გამოიყვანა. იმან აიღო ორი ერთნაირი ხორცის ნაჭერი. ერთი მოაქცია შუშის ჯამს ქვეშ, მეორე დატოვა დაუხურავათ. მწერები გუნდ-გუნდათ ასხდებოდნ მეორე ნაჭერსა და ორი-სამი დღის შემდეგ მაზე ურიცხვი მატლები გაჩნდა. პირველ ნაჭერზე კი, რომელიც შუშის ქვეშ იყო მოქცეული, არც ერთი მატლი არ გაჩენილა, თუმცა ისიც გაიხრწნა. რედიმ იფიქრა — ეს მატლები უსათუოთ მწერების ერთ-ერთ გარდამავალ ფორმას წარმოადგენსო. რომ სავსებით დარწმუნებულიყო თავის აზრში, მან გადააფარა ხორცის ნაჭერს სქლათ ქსოვილი, ხოლო ალაგ-ალაგ დატოვა ნახვრეტები. ამნაირათ მხოლოთ ეს ადგილები იყვენ მწერებისათვის მისაწვდენი და სწორეთ მხოლოთ ამ ადგილებში გაჩნდნ მატლები.

ფრანჩესკო რედის აღმოჩენა გავრცელდა მაშინდელ მეცნიერთა შორის, რასაც შედეგათ მოჰყვა დამოუკიდებელ ჩასახვის თეორიის კრიტიკულათ მოპყრობა. შეუდგენ კითხვას: ~~ქეშმარიტებათ~~ და ცდის შემწეობით შესწავლას. ბევრი გაბრწყინებული მეცნიერი, როგორც, მაგ., რეომიური და ვალისპერი, მიემხრენ რედის, მაგრამ ამ დროს ერთი სრულიათ წარმოუდგენელი დაბრკოლება აღმოჩნდა. 1680 წელს ლევენგუემ მიკროსკოპის შემწეობით პირველათ დაინახა და აწერა ცომის სოკოები, ეს იყო პირველი აღმოჩენა მიკროსკოპიულ ორგანიზმისა. ამ აღმოჩენამ უფრო გააცხოველა დამოუკიდებელ ჩასახვის თეორია. აქამდის საქმელო იყო დიდი ორგანიზმების დამოუკიდებელ ჩასახვის მიღება, მარა რა კი ბუნებაში უთვალავი მიკროორგანიზმები ყოფილან, მათი დამოუკიდებლათ ჩასახვის წარმოდგენა გაცილებით უფრო ადვილია. ამას შემდეგ ეს კითხვა კარგი ხნით მიყრუვდა. მხოლოთ 1836 წ. შვანმა დაგვანახვა, რომ ღობის პროცესსა და მიკროორგანიზმების გამრავლებისა და საზრდოობის შორის კავშირი არისო. მიკროსკოპით დაკვირვების შემწეობით იმან შენიშნა, რომ დამპალ ხორცში უთვალავი მიკროორგანიზმები — ბაქტერიებია. შვანმა გამოაცხადა: ამ ბაქტერიების ჩანასახები ტრიალებენ ჰაერში და როცა მოხდებიან მათთვის შესაფერ არეში, საზრდოობენ იმით, მრავლდებიან და ამნაირათ ხრწნან ამ არეს. ამავე დროს საფრანგეთში კანიარ-დე-ლატურმა იგვარჩივე დასკვნა გამოიყვანა დუღილის პროცესის შესახებ.

ამ ნაირათ ამ ორმა მეცნიერმა დაასკვნეს: „შეუძლებელია დაღობა და დუღილი, თუ ცოცხალი მიკროორგანიზმები არ ღებულობენ მონაწილეობასო“.

ქიმიკოსები გამოჩენილი ლიბიხის მეთაურობით წინააღმდეგ ამ ახსნას. ღობა და დუღილი სავსებით ქიმიური ხასიათის პროცესიაო. 1859 წ. მეცნიერმა პუშემ დაბეჭდა წიგნი „Heterogenie“. საოკარი სიმახვილით და გამჭირახობით იცავს პუშე დამოუკიდებელ ჩასახვის თეორიას და არღვევს მოწინააღმდეგეთა აზრებს. პუშეს და პასტერის შორის გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელშიაც შესანიშნავათ გაიმარჯვა პასტერმა. პუშე ამბობს: ჯობის და დუღილის გამომწვევი ორგანიზმები ვითარდებიან თვით სითხეში, და არა გარედმიდან ვარდებიან მასში. პასტერი ამბობს: დუღილის გამომწვევი მიკროორგანიზმები დატრიალებენ ჰაერში ჩანასახის ფორმით. და საცა მოხვდებიან შესაფერ არეში, იწვევენ დუღილს და ღობას. აქ ჩვენ დაწვრილებით ვერ შევხვებით ამ მეტათ საინტერესო მეცნიერულ ბრძოლას. მოვიხსენიოთ მხოლოთ პასტერის მერე მოწყობილი რამდენიმე ცდა. ჰაერში რომ ბევრი ნამცეცები დატრიალებს, ამას ჩვენ ადვილათ შევნიშნავთ. ბნელოთახში გააკეთეთ ქუქრუტანა და შემოუშვით მზის სხივი. თქვენ ცხადათ შენიშნავთ, რომ სხივებში ტრიალებს აურაცხელი მტერის ნამცეცები. წინეთ იმ აზრის იყვენ, რომ ეს მტერის ნამცეცები არა ორგანიული. მანერალური არიან. მარა ტინდალმა უბრალო ცდით ოსტატურათ დაამტკიცა, რომ ამ ნამცეცებში ბევრი ორგანიული მატერიაა, ახლა საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ ამ ორგანიულ მატერიაში ერთი ცოცხალი სხეულები. ეს საჩკვევი ერგო პასტერს.

პასტერმა მოამზადა ოციოდე შუშა, რომლებშიაც ჩასხა ბულიონი. რამდენიმე საათს ადულა ბულიონი ამ შუშებში, შემდეგ რამდენიმე შუშას თავი დაუცო, ხოლო რამდენიმე პირლია დატოვა. თავ დაუცავ შუშებში რამდენიმე საათის შემდეგ ბულიონი აიძვრა და მიკროსკოპის შემწეობით შენიშნავდით, რომ ამ ბულიონში ურიცხვი მიკროსკოპიული ორგანიზმი დაფუსფუსებდა. თავდაცულ შუშებში კი ბულიონი შეინახა წმინდათ და გამჭირვალეთ არა თუ რამდენიმე თვის, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში. ამნაირათ პასტერმა დაამტკიცა,

რომ თუ სითხეს იმნაირათ დავიცავთ, რომ მაში ეგრ ჩავარდება ჩანასახი, ამ შემთხვევაში ის არც ღებება და არც ღულს. მაშ წინანდელი დაპოუკადებელი ჩანასახი თეორიის მაგიერ გამოედლა ახალი თეორია, რომელიც ვეუბნება: ჭაერში ცხოვრობენ დაბალი აგებულებს ორგანიზმების ჩანასახები, და აი ეს ორგანიზმები, როცა ვარდებიან შესაფერ არეში, იწვევენ ლობობას და ღულიოს. პასტერის აზრის გამარჯვებას იმდენად დიდი პრაქტიკული შედეგი მოყვა, რომ იმის დაფასება შეუძლებელია. ბევრი დარგი მრეწველობისა პასტერის აღმოჩენების შემწვობით განვითარდნენ. პასტერისავე აღმოჩენამ იხსნა მემბრე-შუმეობა და ღუპვისაგან. მესამოცე წლებში საფრანგეთში აბრე-შუმის ქიას მოედო ავითყოფობა. პასტერი შეუდგა ამ ავითყოფობის გამოკვლევას და აღმოაჩინა, რომ მიზეზი არის ერთგვარი მიკროორგანიზმი. აქიდან ავითყოფობის აშორებაც შესაძლო გახდა. საქროა მხოლოთ სათესლეთ რო პებლებს გაუშვებთ, ისინი სიკვდილის შემდეგ მიკროსკოპის შემწვობით გასინჯოთ. თუ პებელას მიკროორგანიზმი გამოაჩნდა, მაშინ მისგან დაყრილი თესლიც დაავითყოფებელი იქნება და უნდა მოსპოთ, თუ არა და სალი იქნება და მაშინ ავითყოფობაც აშორებული გაქვთ. ამნაირათ მან გადაარჩინა მრეწველობის მთელი დარგი.

სამკურნალო მეცნიერებაში ხომ დაუფასებელია მისი ღვაწლი. რა კი ღულიოს და ლობობის პროცესები არიან მიკროორგანიზმების მოქმედების შედეგი, აქიდან პასტერმა დაასკვნა, რომ გადამდებ სენებსაც ამნაირივე მიკროორგანიზმება აჩენენო. დაბალი აგებულობის ორგანიზმების შესწავლამ ის დაარწმუნა, რომ მიკრობს, თუ კი ის ორგანიზმში ჩავთესლა, შეუძლია მეტათ საშიში ავითყოფობის გამოწვევა. ამ სახით პასტერმა აღმოაჩინა უთვალავი მიკროორგანიზმები, რომელთა შორის ბევრი ჩვენ გვლუპვენ, მათი გავლენით ჩვენი ორგანიზმი იზღვება, იხრწება. მაშ აქიდან ჩვენ ვხედავთ რომ გადამდებ ავითყოფობებს იწვევენ პაწაწა ორგანიზმები, რომელნიც საზრდობენ ცხოველის სხეულთ, ესე რგი გადამდები ავითყოფობის გამომწვევი პარაზიტებია. ამ პარაზიტების მოქმედება ისეთია, რომ ცხოველის ორგანიზმი იშხამება. აქ პასტერმა მეორე დიდებული აღმოჩენა მოახდინა. იმან დაამტკიცა, რომ ავითყოფობის წარმომშობ მიკრობების ხელოვნურათ გამრავლებით შეგვიძლია იმ მიკრობებში შევასუსტოთ გინდ გავაძლიეროთ მათი მომშხამველი ძალა. და თუ ცხოველის ორგანიზმში ჩავთესლათ ბაცილების დასუსტებულ კულტურას, მაშინ ორგანიზმი ისეთ თვისებებს შეიძენს, რომ მას შეუძლება უფრო ძლიერ მოქმედ მიკრობებს გაუძლოს. აქიდან წარმოედგა დამცველი აცრა, რომელსაც დღეს მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიდ საზოგადოებაში პასტერს სახელი გაუთქვა ცოფის აცრამ. პირველათ პასტერმა ცოფი აუცრა ადამიანს 1880 წ. ეს ადამიანი იყო პატარა ელზასელი მენისტერი, რომელიც დაეკბინა ცოფიან ძაღლს თოთხმეტ ადგილას. პასტერს არ ეძინა არც ღლე და არც ღამე. ხან იმედი მოიცავდა მის გულს, ხან საშინელი ექვი ჩაჭიდებდა კლანჭებს. ბოლოს მენისტერი სრულიათ განთავისუფლდა, იმას არავითარი შიში აღარ მოელოდა. ეს იყო პირველი მაგალითი. მას მოყვა ურიცხვი. ცოტახანში პასტერის სადგურები, სადაც უცრიან ცოფს, მოედო მთელ ქვეყანას და თითქმის ყოველ დიდ ქალაქშია გამართული*). ბევრი სხვა აღმოჩენაც ეკუთვნის პასტერს. მარა მართო აქ კი არაა მისი ძალა. მან შექნა მთელი მეთოდი, მან გაკაფა გზა, და ამ გზით დღეს მუშაობს ურიცხვი მეცნიერი. ამ მუშაობამ უკვე შეგვიძინა რამდენიმე აღმოჩენა, როგორც ქუნთრუშის წინააღმდეგი სითხე; შემდეგში კი მის განვითარებას საზღვარი არა აქვს.

X.

*) სხვათა შორის თფილისშიაც არის განსაკუთრებული სადგური, სადაც ცოფიან ცხოველსაგან დაუბნდო აქიმობენ.

სხვა-და-სხვა ამბები.

ს. ბზვანში აგრ. ქალაგანიძის, სტ. სევ. კოლოშვილის და სხვათა თაოსნობით იხსნება სამკითხველო-საბავშვო-სამღერეო იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს ახლად გახსნასულ სამკითხველოსათვის შეუწირავს ოცი მანეთი. ამას გარდა კიდევ 40 მანეთამდე შეუგროვებიათ იმავე მიზნით.

10 ივლისს, დილის 9 საათზე ვილაც ბოროტ-გამზრახველებმა სად. სუფსაზე მოკლეს თავ. დავით გურიელი. გურიელი ცხენით შინ მიდიოდა (სადგურიდან ხუთი ვერსის მანძილზე ცხოვრობა). როდესაც სახლს მიუახლოვდა, ბოროტ-გამზრახველთ სროლა დაუწყეს და რამოდენიმე ტყვია მოარტყეს. გურიელმა იქვე განუტევა სული. თან გურიელს ქონდა 315 მანეთი. რევოლვერი და ხმალი, მაგრამ არაფერი წაუღიათ, მხოლოთ ჯვრები და მედლები აუგლეჯიათ და წაუღიათ. თავ. გურიელს დარჩა რამდენიმე მცირე წლოვანი ბავში.

როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, გორის ანასტასიას საქალებო პროგიმანზიას წელს ენკენისთვიდან მეხუთე კლასი ემატება.

ოთხ ივლისს, ქუთაისში ჩამოვიდნენ სოფელ ქეტირის საზოგადოების მცხოვრებნი ხუთასამდე გლეხი და ქუთაისის გუბერნატორს თხოვნა მიართვეს. გლეხები იმასა ჩივიან, რომ ოცი წელიწადია, სარწყავი წყალით ვსარგებლობთ და დღემდე არავის არავითარი დავა არ გამოუცხადებია ჩვენთვის და არც არავის სასყიდელს ვაძლევედითო. დღეს, სამი-ოთხი მოსახლის წყალობით, ჩვენ მაგიერ მთავრობისათვის თხოვნა მიუციათ, ვითომ უნდა მირაბის დანიშნვას ვთხოვლობდეთ. ამგვარი თხოვნა ჩვენ არავისათვის არ მიგვირთმევია და არც მსურველი ვართ მირაბის დანიშნვისა, რადგან წყლის მოდავე ჩვენ არასოდეს არავინ არ გაყოლიაო. უკეთუ მირაბი დანიშნება, იმ შემთხვევაში წყლით სარგებლობაზე უარს ვაცხადებთ და მირაბის შესანახათ არავითარ სასყიდელს არ გავთვლივთო.

ბ-ნმა გუბერნატორმა ეს თხოვნა მიიღო და გამოძიებაც დანიშნა საქმის გამოსაკვლევათ.

ქალაქის ხორცის ღუქნების გამგემ აღიხანოვმა შეიმუშავა ინსტრუქცია ხორცის ღუქნების მართვა-გამგეობისა. ამასთან ბ-ნი აღიხანოვი აცხადებს, რომ, თუ ჩემ მიერ აღნიშნულ პირობებს არ ასრულებთ ხორცის ვაჭრობის საქმეში, უარს ვიტყვი გამგის თანამდებობაზე, რადგანაც რამდენისამე კაცის საქმეში გარევა მხოლოთ საზარალო იქნებაო.

დაბა სამტრედიიდან გვატყობინებენ: აქ პირველ სექტემბრიდან დაარსდება მომრიგებელ-სასამართლოს განყოფილება, რომლის გამგეთაც დანიშნულია ონის გამომძიებელი ს. კანდელაკი.

ჩვენ მოგვივიდა გ. წერეთლის ლიტოგრაფიული სურათი, რომელიც ჩინებულათაა გადაღებული და ღირს ერთ აბაზათ.

მოგვივიდა შიო არაგვისპირელის თხზულებათა მეორე წიგნი, რომელშიაც დაბეჭდილია 18 მოთხრობა. წიგნში 240 გვერდია და ღირს ორ აბაზათ.

მთავრობის განკარგულებანი

„კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი სავალდებულო დადგენილება თფილისისათვის

იარაღით ვაჭრობის შესახებ.

მუხლი 1-ლი. გუბერნატორის ნება-დაურთველათ (წერილობით) არაფის უფლება არა აქვს ივაჭროს თოფებით, და მბაჩებით, რევოლვერებით და ტყვია-წამლით.

მუხლი მე-2. ისინი, ვინც ამ იარაღით და ტყვია-წამლით ივაჭრებენ, ვალდებული არიან იქონიონ დაწესებულ ფორმის განსაკუთრებული წიგნები, სადაც უნდა აღნიშნონ, რაც იარაღი და ტყვია-წამალი აქვთ, აღნიშნონ აგრეთვე, როდის ვის რა მიყიდა, ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლში დასახელებულ იარაღის შესახებ უნდა აღნიშნონ აგრეთვე, რა მოწმობის ძალით გაყიდა იარაღი ან ტყვია-წამალი. წიგნები პირველ მოთხოვნილებისთანავე უნდა წარედგინოს პოლიციას.

მუხლი მე-3. ეგრეთ წოდებული შამხნიანი თოფები და რევოლვერები და აგრეთვე იპათთვის საჭირო ტყვია-წამალი შეიძლება მიეყიდოს იმათ, ვინც გუბერნატორისაგან ნება-რთვას წარადგენენ, ამასთან იმდენი, რამდენიც ნება-რთვის მოწმობაშია აღნიშნული. ეს მოწმობები, როგორც განსმარტლებული საბუთები, ვაჭრობა უნდა შეინახონ.

მუხლი მე-4. ეს სავალდებულო დადგენილება ხმალ-ხანჯლის ვაჭრობას არ შეეხება.

იარაღის ტარების შესახებ.

მუხლი მე-5. აღკრძალულია ქალაქში იარაღის ტარება: თოფისა, რევოლვერისა, დამბაჩისა, ხმლისა, ხანჯლისა, ფინურ დანისა, კასტეტისა, ბებუთისა და ისეთი ჯოხისა, რომელშიაც დანაა. პატისადებ მიზგისა გამო შეიძლება იარაღის ტარება, მაგრამ უქვევლათ გუბერნატორისაგან წერილობით ნება-რთვა უნდა იქნეს აღებული. შუამდგომლობა ამ ნება-რთვის შესახებ პოლიციებისტრის საშუალებით წარედგინება თფილისის გუბერნატორს. ეს მოწმობანი პირველ მოთხოვნილებისთანავე უნდა წარედგინოს ხოლმე პოლიციას.

მუხლი მე-6. ამ წესებს არ ემორჩილებიან სამხედრო კაცნი და სამოქალაქო წოდების მოხელენი, რომელთაც იარაღის ტარების ნება აქვთ.

ზასუსის მკებლობა ამ სვალდებულო დადგენილებათა შეუსრულებლობის გამო.

მუხლი მე-7. თუ ისინი, ვისაც ეს სავალდებულო დადგენილებანი შეეხება, დაარღვევენ წესებს, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი იმ სასჯელთა მე-29, 117, და 118 მუხლების ძალით, რომელსაც მომრიგებელი მოსამართლე ადებს.

ვად ამ დადგენილებათა ძალაში შესვლისა.

მუხლი მე-8. ეს სავალდებულო დადგენილებანი ძალაში შევა 1902 წლის 10 აგვისტოდან.

თფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლიკონიკი სვეჩინი.

კორექსონ დენცია.

ბ. ზეზანი. (ქუთაისის მახრა) ამ სოფელში ნიადაგი მდიდარია, აქ კარგათ ხარობს ყოველი ჭირსხული და აგრეთვე ვენახიც. ამ სოფ. თუმცა ვენახი კარგი იყო ამ 5 წლის წინათ, მაგრამ მას შემდეგ ძალიან განადგურა ფილექსურამ, სასუდობრ: „სამაჭრე ვენახი, ჭუნკილთური, შქვანე და საფურავი“, მხოლოდ კუნძ ვენახს, ციქქას და დანდლასს, კი ვერაფერი დასტოვა თვალსაჩინოთ ამ უტუნურმა სენმა. ამ ორი წლის განმავლობაში მუშა ხალხი ძალიან გულ მოდგინეთ შეუდგა ამერიკულ ვაზზე დამუნილ ვაზის გამოცხადებას, ზოგმაც ისევ ძველებურათ გააშენა შინაური ვენახი. თუმცა სოფელი ბუნებრივად მდიდარია, მაგრამ სასუბედროთ არც ერთი სერიანი გზა არ მოიხატება აქ. მიუხედავად ამისა ჩვენი მამასხლისი

სრულებით უურადლებას არ აქცევს ამ გარემოებას. მოგონებები მკითხველს კიდევ ორიოდე სიტყვას სოფლის სასამართლოზე. სასამართლოში ერთი ცუდი ჩვეულებაა დაწესებული: მამასხლისის და შქვანის მიერ. რადესაც რამეს სწავლიან ჩვენი, ისე არ გაანჩვევენ საქმეს, თუ მომჩინებმა კარგი სადიდ მართვა ბნ მოსამართლეებს. ამისთანა მდგომარეობაში რა საწყაღმა კაცმა, რომელსაც ხუთი-ექვსი მანეთის სადირადი აქვს გასარჩევი და სასამართლოში კი სულ მცირე სამი მან, ხარჯი უნდა გასწიოს მოსამართლეებისათვის. ამისთანა შემწეული ხარჯით საწყაღი ხალხი უკანასკნელ მდგომარეობაში არის ვარდნილი. იმედია ამ ნაკლებუფლებას უურადლება მიექცევა ვაჯურ არს, ამისთანა უსაფუძვლო ხარჯს მოსხობენ ამ სასამართლოში, როგორც სხვა სოფლებში არის მოსხობილი და განთავისუფლებენ საწყაღ ხალხს; აგრეთვე გზებსაც შეაკეთებენ, რომ უცმგზავრებს, რომლებიც მეტი ნაწილი ზაფხულდობით შემოდინს სოფ. დვინის გასახიდათ, უშიშრათ შექედოთ მოგზაურობა.

ვარლამ გორგოძე

უშაქრუთი. (შორაზნის მახრა), არა მგონია სადმე მოიბე

ბოდეს ისეთი დაქვეითებული სოფელი, როგორც ქანებრივით ც განებრივთაც, როგორც უშაქრუთი. ჩვენ თუ სხეში ვიქნები იმ გარემოებას, რომ ს. უშაქრუთი ჭიათურის შავი ქვის მრეწველ ბის ერთ შესამხნეგ სიმდიდრეს შეადგენს, (რადგანაც მთელი სოფელი მდნათ არის გადაქცეული), სწორეთ ძლიერ განსაკვირდასას ბუნებით შემკობილი და დაჯილდოებული სოფლის ასეთი დაქვეითება. მთელი უშაქრუთი რომ მოიაროთ, ერთ სეფლას ვერ ნახავრც სამრეველას და ვერც სამინისტრას; წერა-კითხვა ხომ იმ ზრდენტმაც არ იცის და სკრთოთ ვეველას თავზე დასწვლია ღარიბე და სადაც არის, მიწასთან გასწორებას უქადის. საზოგადო აქეთ მოსვლადი ძლიერ ნაკლები იცის, რადგანაც მეტი ნაწილი ხოაკი მიწობა და მასთან მიწის სივიწროვეცაა, მხოლოთ რაც შეეჩა აქაურების ერთათ ერთ სიმდიდრეს, შავი ქვის მადნებს, შედაბით ზოგიერთთან სხნაქებო მადნიც გამოდის, მაგრამ მოგებსე ბათ, რომ ასეთი საქმით სარგებლობას ცოტა არ იყვის სწავლა გამოტთილება უნდა და რაკი ადგილობრივი შევიდრნი ამ მეტსაჭირთ თვისებაზე შეურადლათ არიან, ამიტომ მთელი აქაური სდიდრე და წარმოება სულ სხვა, მოსული ხალხის ხელში არის დასული და ისინი სარგებლობენ, მხოლოთ მეპატრონეები კი იძულებული არიან, რადცა „ნიორთა-ნაქურხელას“ დაჯერდენ, რომელ მხოლოთ იმათ ყოველ დღიურ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებ და იძულებული ხდება ხშირათ რომელიმე ადგილის მეპატრონისკე მოსულებს დღიურ მუშათ დაუდგეს გვირახებში სამუშაოთ გვირახებში მომუშავეთ ადგილობრივ მცხოვრებთ კაცებს კი არ ქალებსაც ბლამათ შეხვდებით, რაიც გამოწვეულია აუტანელი სიღარიბის გამო, თუმც შეიძლება აქაურ ქალებს სხვა უფრო ხელსა რელი საქმისთვის მოკეიდათ ხელი, რადგანაც ეს სოფელი მარცხეტანს ერთათ დაჯილდოებულია ბოფლის (თუთა) ხით, რომელი მრავალია ამ სოფელში და რასაკვირველია აქაურ ქალებს დიდ სარგებლობას მოუტანდა აბრეშუმის მოყვანა, მაგრამ მთელი სოფელი რომ დაიაროთ, თვალათაც ვერ ნახავთ აბრეშუმის ზარკს!...

ი ბატონებო! მარტო ბუნებრივი სიმდიდრე არ კმარა, იმ მოხმარა უნდა, ხალხი მოხმარას ცოდნა, და რა ცოდნაზე შეიძლება ღამარაკი იქ, სადაც ამდენ სოფელში ერთი ზირველ დაწვებით სკოლა არ არსებობს, მხოლოთ წიგნთ-საცავ-სამკითხველო კი ვცნებ, მთლათ ზემო იმერეთში ორიოდე ძლივს მოიხატება!...

ა. კობიძე.

ბ. ხუნჯულორი. (ქუთ. მახრა) რადც გამოურკვეველი მ

ხეხის გამო 2 ივნისს აქ მეტათ საზიზდარი საქმე მოხდა. ახნაურმა ბესარიან გამურელიძემ თავისი თარმეტი წლის ვაჟით და



დღის დით, რომელიც ამავე სოფლის ეკლესიასთან მონახუნათაა, სადამოს რვა საათზე თავისი სახლის ზირდაზირ, ქუჩაში, დახვდა ამავე სოფლის მცხოვრებს გლეხის ქვრივს ხასიკა ხანძვას. სიტუაციის უთქმელათ დაუბინეს სამივე ერთად ჯიბი, ქვა და რაც ხელში მოხვდათ. კარგა ცემა-ტეხის შემდეგ. გამურელიც თავის სახლში წაბრძანდა. ვაჟმა კი ჯიბით ხელში და ფეფიკა ჯამბურიაშვილს (მონახონმა) ქვით მისდოეს უკან საცოდავ ქაღალდს. საბედნიეროდ ხმაურობაზე გამოცვივდენ მეზობლები და შეაჩერეს "გააფთვებული მონახონი და ხატარა გიბრი. ფეფიკა ჯამბურია კი ცხვირ-ზირ დასისწლიანებულ და გონება მახდილი მიიყვანეს სახლში. მონახუნის ასეთმა ახლმოდურმა რაინდობამ მეტად გააფრთხილა სულ ყველა.

მაღალაძე

ს ა ზ ლ ვ ა რ - კ ა რ ე თ .

საზრუნველობა. ზირველ ივლისის სოფრანკეთში იმართება ნაციონალური დღესასწაული. წელს ამ დღესასწაულმა მეტად მხიარულათ ჩაიარა. ზირველში ჩამოვიდა 300 ათასამდე კაცი, სადამოს მოკლებზე გაიმართა ცეკვაობა, რომელმაც კასტანის დილის ხუთ საათამდე. მკრამ სუბედროთ დღესასწაულს მეტად სკრძობელი ნაკლიც ახლავს. ზაფხულის სიციხეში თავისი ძალა იჩინა. სალდათებში და დამსწრე საზოგადოებაში ბევრს დამბლა მოუვიდა, ასე რომ სხვერბლი ექვსსამდეა. ნაციონალისტების ჟურნალ-გაზეთები და ცინფით იხსენიებენ იმ "კარგიმბებს, რომ ეს შემთხვევა მონათ რადიკალურ სამინისტროს დროს და ამავე დროს კი რადიკალები და სოციალისტები უფელთვის წინააღმდეგი არიან ზარადის. სოციალისტმა ჟურნალმა მიმართა ღია წერილით სამხედრო მინისტრს, სადაც ის აცხადებს—გადაწვევით ზარადის სესიის განსისთანავე მოვითხოვ ზირველ ივლისის ზარადის გაუქმებას. წერილი იწვებს ამათათ: „ნაციონალური დღესასწაული ღამის სამკლავობარო დღით გადაკვეთეს, იმდენ მსხვერბლს ითხოვს უფელ წელს ზარადი, რომლის გაუქმებას ვითხოვ ამდენი ხანია“.

ინგლისი. როგორც მოკვსენებათ, ინგლისის კოლონიებში ავსტრალიაში შეადგინეს ფედერაციული რესპუბლიკა. თავის შინაურ საქმეებში რესპუბლიკელები სრულიად დამოუკიდებელი არიან, სავაზრო საქმეში კი ისინი ემორჩილებიან ინგლისის მთავრობას. ამას წინათ გენერალმა ესტონმა საფედერაციო ზარადის შემტანა მოხსენება, სადაც ამტკიცებდა ავსტრალიის რესპუბლიკას უნდა ქონდეს წილი სავაზრო სამხედრო სამხედრო ფონდში, ისიც უნდა ეწოდეს მეტროპოლიის სამხედრო საქმეში. არც ერთმა დემოკრატმა არ დაუჭირა მხარე გენერალს. ზირველ ბევრმა განაცხადა— მოხსენება წინააღმდეგია რესპუბლიკის კანონების, რადგან ფედერაციის კონსტიტუცია ნებას აძლევს თითოეულ შტატს ცალკე მხოლოდ შეკრობის რაზმები შემოსეული მტერის მოსაკრებლათ. ბოლოს მოხსენება არამც თუ არ მიიღეს, ამოხადიის მოთხოვნით კიდევ შეამტყუნეს ის ჯამი, რომელიც აქამდე გადადებული იყო სამხედრო საქმეებისათვის, ამ ხარათ ჩვენ ვხედავთ, რომ ავსტრალიაში ჩემბერლენისებური იმპერიალიზმი ძალიან სუსტობს. ზირველ თან და თან იღვიძებს და ძლიერდება მონროეს მოძღვრება. როგორც ვიცით, მონროე ამბობდა: ამერიკა—ამერიკელებისთვისა, ავსტრალიელებიც ამ გვარ ზოლიტიკას დაადგენ: ავსტრალია ავსტრალიელთათვისა. რომ ავსტრალიელები სრულიად თავისუფლათ იტყვიან თავს და არც კი ერიდებიან თავის მეტროპოლიის, ინგლისის, ეს სხვათა შორის შემდეგდინაც ჩანს. ამას წინათ იქ გაიმართა დიდი მატინგი ინგლისში ზომრულის, ესე იგი ადგილობრივი მართკულობის, შემოდების სასარგებლოთ. ამ მატინგის თავმჯდომარეთ იყო ქალაქ სიდნეის ლორდ-მერი, ილანარაკის ბევრმა სენატორმა და ქვემო ზალატის წევრებმა. ავსტრალია უფელთვის ზომრულის მომხრე იყო. ახლაც ნათლათ გამოხატა მან თავისი სიმშობის ირლანდიისადმი. მატინგზე მეტად მკაფიოთ გამოთქვეს ზომრულის საჭარბა. დამსწრე საზოგადოებაში შეაგრძობეს შვიდი

ათას მანეთამდე. ამ ფულით უნდა მივიღეს ავსტრალიაში ირლანდიის გამოჩენილი მოღვაწე რედმონდი და იქ შეუდგეს სისტემატიურ ზრდაზარდას ზომრულის სასარგებლოთ.

ავსტრო-ზინკეთი. მკითხველებს ეცოდინებათ თუ არა, რომ სხელმწიფო შემდგარია ორი ნაწილისაგან: ერთი ავსტრია, მეორე—უნგრეთი. თვითუფელ ნაწილს აქვს თავისი ზარადისმეტი და სრულიად დამოუკიდებელი შინაურ საქმეებში. მათ ერთმანეთ შორის ხელშეკრულება აქვთ ბაჟების შესახებ. ამ ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და ახლაც სავაზრო მისი განახლება. აი ამის შესახებ დიდი ხანია მოლაპარაკებას გამართული ავსტრიის და უნგრეთს შორის. ავსტრია ძლიერად დამუშავებული საქონლით, ხოლო უნგრეთი დასამუშავებელით. ამიტომაც რაკა ამ ქვეყნებს სხვა-და-სხვა ხარის სამრეწველო ხასიათი აქვთ, სხვა-და-სხვა ხარის მოვარჯელობითი ზომებს მოითხოვენ. ამის გამო ძალიან გაძნელდა შეთანხმება. ახლაც, როგორც ვახტობი იუწებთან, ორივე ნაწილს შორის შეთანხმება მდწვეულ იქნა, რადგან ორივე მხარე ერთმანეთს დაუთმეს. უნგრეთმა უარი თქვა დაუმუშავებულ საქონელზე მალადი ბაჟების დადებაზე, ავსტრია-მაც დათმო დამუშავებულ საქონელის შესახებ.

სამხრეთ აზრია. დასრულდა ინგლისელთა და ბურების შორის დაწვეული ომი, მარა ბრძოლა მათ შორის ამით სრულიათ არ დასრულდება. გამარჯვებულნი და დამარცხებულნი სულ სხვა-და-სხვა ხარით უუერებენ საქმეს. ბურები მზათ იყვენ მშვიდობიანობა დაეცვათ, ხოლო ისინი ითხოვენ სამშვიდობო ზირბების აუცილებლათ შესრულებას. ინგლისელები კი თითქო თავის დაზირებას უარყოფენ. ზირველი უკმაყოფილება გამოიწვია დავამ სამი მილიონის შესახებ. ბურებს ეგონათ ეს ფული მთავრობამ გვანუქაო, ინგლისის მთავრობა კი სხვაფერ იქნებოდა. ბევრი სხვა სადაც სავაზრო კიდევ. მკ. ბევრ ბურს არ სურს ინგლისის მეფის ფიცი მიიღოს, ეს მათთვის მეტად სამძიმო და დამამტყუნებელია. სამავაზროთ ვინც ფიცს არ მიიღებს, იმ ტყვეებს აღარ აბრუნებენ სამშობლოში. ფიცზე უარის თქმამ უკვე გამოიწვია აქა-იქ ადევება. სხვათა შორის აი რა მომხდარა მადრასში. აქაურ ბანკში იმ ტყვე ბურებმა, რომელთაც უარი განაცხადეს ფიცის მიღებაზე, დაუწვეს გინება იმ თავის თანამემამულეთ, რომელთაც ფიცი მიიღეს: თქვენ მოლაღატენი ხართ, სამშობლოს გამოიდეულით. გაიმართა ცემა-ტეხვა. ეს რომ დაინახეს დარაჯებმა, მივარდენ სასამეველებლათ დარაჯებში, რასაკვირველია, ინგლისელები იყვენ. ბურებს ხელათ დაავიწვდათ ერთმანეთ შორის ჩამოვარდნილი უთანხმობა და სავაზრო ძალით მიატანეს იერიში ინგლისელებზე. უკანასკნელნიც უკვე იქნენ. აღტაცებულმა ბურებმა შემოსახეს თავისი ერთგული ზომინი, მარა სადამოს მთავრობამ გამოიკვლია საქმე და ბევრა მათგანა სატუსალოში გაისტუმრა.

ინდოეთში გავზავნილ ტყვე ბურების სამშობლოში დაბრუნება გადადგა ინგლისის მთავრობამ. ბურები მეტად აადევნა ამ კარგიმბებამ. მთავრობა იმით იმართლებს თავს, რომ ახლაც ინდოეთის რეკანეში ქარიშხლების სეზონის და სხვამ ის დრო არ გაივლის, მოგზაურობა ბურებისათვის მეტად სამძიმო იქნებაო. ცხადია, რომ ეს მოგონილი თავის მართლებას, რადგანაც წელს ინდოეთში ქარიშხალი თითქმის არ უფილდა. თრანს. ვახეთი „Patrie“ ამ განკარგულებას სულ სხვა ხარით ხსენის. მისი აზრით, ბურებთა უმეტესობას, რომელთაც ზავის ჩამოვადების შემდეგ ინგლისელებს დამორჩილდენ, ძალიან სურათ ომის ხელახლა დაწვევა. ისინი ადევებულნი არიან იმ გრემებით, რომ ინგლისელები უსინდისოთ მოიქვენ, რადგან თავისი დაზირებანი არ შესრულეს. თუ ამით მიემხრენ სამშობლოში დაბრუნებულნი 30,000 ტყვეთ ნამყოფი ბური, ვარდა ამისა ბახუტები და ინგლისელები თუ წაიკიდენ, რაც ადვილათ მოსალოდნელია, ამ შემთხვევაში სამხრეთ აფრიკაში გაცილებით უფრო ძლიერი სისხლის ღვრა მოხდება, ვიდრე ახლაც ხან დასრულებულ ომის დროს

ამერიკის შინაომი უბათობი. თუმცა ამერიკის შ...

ტების კონსტიტუციის ბევრი დიხსება და უზიარებლობა აქვს სხვა ქვეყნების კონსტიტუციასთან შედარებით, მარა მანც მას ბევრი ნაკლიც აქვს, რის გამოც იქაური კონგრესი საზოგადოთ უფრო მკრთალია, მასში ბრძოლა უფრო სუსტია, ვიდრე ევროპის პარლამენტებში. ამას წინეთ დაიხურა კონგრესის მიმდინარე სესია. ეს სესია იმდენათ უსაქმური იყო, რამ თვით დღევანდელ მთავრობის მომხრე რესპუბლიკელებიც კი უკმაყოფილონი არიან. უმეტესი ნაწილი დიდ მნიშვნელოვან კითხვების სრულიათ არ განუხილავთ. კონგრესის მოქმედებაში თვალსაჩინოა მხოლოდ ორი უმთავრესი საკითხი: სამხედრო გადასახადის შემცირება, ხანამის არის შესახები გადაწყვეტილება, ფილიპინის კუნძულებზე მოქალაქეობრივი მართვლობის შემოღება და დასავლეთისაკენ მდებარე უდაბნოების მორწყვის შესახები კანონი. დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს აგრეთვე ის გარემოება, რამ კონგრესმა შეტათ დიდი ხარჯები დამტკიცა, სერთო ჯამი ხარჯების შეადგენს 1,079 მილ. დოლარს, ესე იგი ხარჯს მოჰმატა 100 მილ. 1896 წლ. ხარჯთ-ადრინგვისთან შედარებით, მარტო ფილიპინის კუნძულებზე მომხთარი აჯანყების დამშვიდება დაუჯდა ამერიკის მთავრობას 200 მილ. დოლ.

რუსეთის ცხოვრება.

შემოდგომაზე დაიწებენ მუშაობას ხოლოცებში საერობო და წესებულებათა შემოღებისათვის. მრავალს თანაკრძობით მიეგება ფინანსთა სამინისტრო.

— ბირველ ივლისს შეწყდა ბეტერბურგის ხოლოცებნიკუმში თხოვნების მიღება, სულ შეუტანათ 2500 მეტი თხოვნა.

— გზათა სამინისტრო ფიქრებს მიუტოვებულ და მივარდნილ რკინის გზებზე ცოფის ასაცრელი ინსტიტუტები გამართოს. სამინისტრო უკვე შედგომია ამ საქმის განხილვას.

— იმავე სამინისტროს აზრათ აქვს უკეთ მოაწოდოს გზის იმ ხელკასნათა ორგანიზაცია, რომელნიც ღიანდგზე მუშაობენ. ფიქრებენ—განსაკუთრებულ სკოლის დაარსებას უფროს მუშათა მოსამზადებლათ.

— დღემდე რუსეთის დედათა გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულთ თავისუფლათ იღებდენ პრუსიის ზოგიერთ უნივერსიტეტში. ესლა პრუსიის საერო განათლების სამინისტროს გამოუცხადებია: რუსეთის დედათა გიმნაზიის გათავების მოწმობა საქმად არ არის უნივერსიტეტში შესასვლელათა.

— მთავრობამ დამტკიცა ახალი შტატი გადასახდთა ინსპექტორებისა. ეს შტატი 1903 წლის ბირველ იანვრიდან იქნება შემოღებული. ახალი შტატით მოჰმატა 111 ინსპექტორის თანამდებობა და გაუქმდა ინსპექტორის თანამდებობის 88 თანამდებობა.

— ღაბარკია აღძრული იმის შესახებ, რამ სულთათ ავთიმოფობა კანონიერ მიზეზათ იქნას მიჩნეული ცოლ-ქმართა განსაქორწინებლათ.

— ბირველ ივლისს გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პროფ. ანდრია ნიკოლოზის ძე ბეკეტოვი. დაიბადა ბეკეტოვი ზენზის გუბერნიასში. განათლება მიიღო გიმნაზიასში და ბეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც ჯერ აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე შევიდა. მეორე წელიწადსვე მამამ ჯარში მისცა, მაგრამ ბეკეტოვმა ვერ გასძლო იქა, მალე გამოემშვიდობა სამხედრო სამსახურს და უზანის უნივერსიტეტში თავისუფალ უურის მკვლელათ შევიდა. დამთავრა სწავლა 1849 წელს. ამავე წელს შეუდგა მასწავლებლობას თფილისის გიმნაზიასა და დედათა ინსტიტუტში; ასწავლიდა ბუნების-მეტეოლოგიას. 1853 წ. სამაგისტრო ეგზამენი დაიჭირა და წარადგინა თხზულება ამ სათაურით: „Очеркъ Тифлисской флоры съ описаніемъ лютиковыхъ, ей принадлежащихъ“. 1858 წელს ბოტანიკის დოქტორის ხარისხი მიიღო. მალე ბეკეტოვმა სამეცნიერო თხზულებებით რუსთა და უცხო ქვეყნელათა ურადლება მიიქცა. 1859 წელს ბოტანიკის კათედრა მიიღო ხარკოვის უნივერსიტეტში; შემდეგ ლექციებს ბეტერ-

ბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა. 1870 წელს საგონიო და სამათემატიკო ფაკულტეტის დეკანათ აირჩიეს, ხოლო 1876 წელს—უნივერსიტეტის რექტორათ. რექტორობას 1883 წელს გაანება თავი. შემდეგ ბეკეტოვი თავისუფალ მასწავლებლის მოვალეობის მდივნათ იყო, ხოლო 1891 წლიდან—ვიცე-პრეზიდენტათ.

ბეკეტოვმა სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, რადესაც ბრწყინავდენ დარვინისა, ლინნეისა, მელეშოტის სახელები. თვალსაჩინო თხზულება ბეკეტოვისა არის „Зарождение буняевъ“.

დედათა უმადლეს სწავლა-განათლების საქმეშიაც მონაწილეობას იღებდა ბეკეტოვი. დიდი ღვაწლი მიუძღვის უმადლეს დედათა კურსების დაარსების საქმეში. ბეკეტოვს დიდი ზატოვი დასახელი ქონდა დამსახურებული მოსწავლე ახალგაზდობის შორის. როგორც აღმანი, იგი კეთილი გულის ზატრონი იყო.

ც ი ბ ე მ ბ ი.

(მოთხ. ი. ფრანკოსი).

II.

როგორც ყველა ბოიკებმა, ისე ლასტოვის ვოიტმაც (მამასახლისმა) წერაკითხვა არ იცოდა; ის უფროსების მორჩილი იყო და დამყოლი, ხოლო ხელქვეითებთან კი საშინელი ჯიუტი. დარაჯები იშვიათათ შედიოდენ ამ სოფელში და ამიტომ მათი მისვლა სოფელში ყოველთვის საშინელ მღელვარებას იწვევდა. ამ მთებსა და ტყეებში გამოზდილ ხალხს საშინელ მძიმე მოვალეობათ მიანდა ვოიტობა, უფრო იმიტომ, რომ ვოიტი ვალდებულია გამოეცხადოს სოფელში მოსულ სხვა და სხვა ბატონებს, პასუხი აძლიოს მათ და ასრულოს მათი ბძანება. რომელსაც თემი ძალათ დააყენებდა ვოიტის ადგილზედ, ის დიდხანს, სანამ მოძრაობა კი შეეძლო, რჩებოდა ამ თანამდებობაზე, რადგანაც სხვა ვერავინ გაბედავდა, თუ მაინცა და მაინც დიდი გაჭირება არ აიძულებდა, ამ საშინელი თანამდებობის მიღებას.

ჩვენ ვოიტი ახალი არჩეული იყო და ჯერ არ შეჩვეოდა ბატონებს. ის საშინლიათ დაფრთხა, როცა გვიან საღამოს მასთან ქობში დარაჯი შევიდა. საწყალი კიდევ უფრო შეშინდა, როცა „ბატონმა“ მას ციგნების შესახებ უამბო. ვოიტმა, მართალია, იცოდა რომ კლდეებში ციგნები ცხოვრობდენ; მაშ იმას თვითონ ციგნების კი არ შეშინებია, იმას იმიტომ შეეშინა, რომ დარაჯს უპოვნია ისინი და ახლა, ალბათ ამისაც წაათრევს ციგნებთან პოლბუქს.

— თქვენ იცით რამ ამ ციგნების შესახებ? — ჰკითხა დარაჯმა.

— მგონია, უნდა ვიცოდე.

— რას შერებინა, ქურდობენ?

— ალბათ არც უჩინობა იქნება. აბა ციგანი უჩინობას მოითმენს!... ხოლო მოხუცი რაღაცას ჰქვადეს, თითქო მუშაობს.

მარტო ესა ამისი ხელობა!...

— განა არ ვიცოდი!—აბა, ვოიტო, თქვენა ხართ იმათი პასუხისმგებელი.

— მე!—წამოიძახა შეშინებულმა ვოიტმა. იმათ რომ რამე მოიპარონ პასუხი მე უნდა ვაგო?

— მაშ, რაც კი თქვენს სოფელში მოხდება, ყველაფერზე თქვენ აგებთ პასუხს. თქვენ, წესიერება უნდა გქონდეთ დამყარებული. უყურადღებოთ მაწინწალა ციგნების დატოვება არ შეიძლება.

— მერე რა უნდა ვუყო მე იმათ? ბაწარი დავაბა თუ?

— როგორც კი ნახავთ სოფელში, მაშინვე უნდა დაიქროთ და დარაჯებს გადასცეთ.

— ეხ, ბატონო! დიდებელი ბატონები ჩვენ სოფელში

ძვირათ დაბძანდებით. მე რომ ერთი დავიჭირო, სხვები ხო-
ვადამწვავენ.

— გადაგწვავენ! — დაიყვირა დარაჯმა. მაშ ისინი აგეთები
არიან? დამაცათ, მე იმათ ვუჩვენებ! ვოიტო, თვალყური გეჭი-
როს იმ ციგნებზე, სანამ ჩამოვივლიდე, მე იმათ გავიჩივებ პოდ-
ბუესს.

- როდის ინებებთ, ბატონო, დაბრუნებას?
- მე ხვალ თუ არა, ზევ უეჭველათ ჩამოვივლი.
- ბატონი ბძანდებით, ვუბძანებ უყარაულონ, — უბასუხა
ვოიტმა და დარაჯს თავი დაბლა დაუკრა.

დარაჯი კარგა გამოძღა რძითა და ქყინტი ყველით, გაე-
ხვია ნაბადში და დაიძინა გძელ სკამზე. ვოიტს კი არ ძინე-
ბია, თუმცა ის ლოგინში იწვა.

— არა, რა ეშმაკმა მოიყვანა ახლა ეს დარაჯი, ან რამ
გამოაძებნია იმ ჯოჯოხეთში, სადაც ისინი ჯერ არც ერთ უფ-
როსს არ შეუნიშნავს? ახლა რა უნდა ვუყო იმათ? მერე რა,
დარაჯმა ისინი ბოდბუესს კიდევ რომ ჩარეკოს? ორ-სამ დღეს
გათევენ სატუსალოში და შემდეგ გათავისუფლდებიან თუ
არა, ალბათ ისევ ლასტოვკაში მობრუნდებიან. იმათ არ გაუ-
ჭირდებათ ჩემი გაქურდვა და გადაწვა. ციგანს რა ენადლე-
ბა? დარაჯი შორსაა, ციგნები კი ბევრი დაეხეტებიან. საკმაოა
ერთს რამე დაუშავო რომ ყველა გადაიმტერო. ოხ,
უბედურო ჩემო თავო! აი, ლაფი კი დავასხი შენ! მარა აი,
რას ვიქ! სწორეთ ასე ჯობია! ციგნები რომ გაიპარონ, და-
რაჯმა მე რა უნდა მიყოს. იმათ ხომ ამდამაც შეუძლიათ გა-
იპარონ, როცა მე მხოლოდ ახლა გავიგე დარაჯისაგან, რომ
საჭიროა იმათი დაჭერა. ო, ეს ძალიან კარგი იქნება, უკეთე-
სიც არ შეიძლება!..

ამ აზრით ვოიტმა შუალამისას დაიძინა.

დარაჯი კი ამ დროს, თუმცა მას ხმელ სკამ-ლოგინზე
ეძინა, მხიარულ სიზმრებში იყო გართული. მას ესიზმრებოდა
„ჯილდო“, ფულით დასაჩუქრება და გადაყვანა უმაღლეს ად-
გილზე, პოდლოში, რუსეთის საზღვარზე, სადაც ადვილი აღ-
მოსაჩენი იქნება მსხვილ-მსხვილი კონტრაბანდები, დამსახურე-
ბა და გამდიდრება... ამ სიზმარმა ის გაამხნევა და დაიძინა. მე-
ორე დილას ის ადრე ადგა და მკაცრი ბძანება მიცა ვოიტს
თვალყური ედევნებია ციგნებისათვის. შემდეგ საჩქაროთ გაე-
გზავრა, რომ ამ დღესვე მისულიყო თავისი უბნის საზღვარზე
ხვალ კი ისევ ლასტოვკაში დაბრუნებულიყო.

წავიდა თუ არა დარაჯი, ვოიტმა ჩააცვა ქალამნები, ტა-
ნზე ტყაპუჭი მოიხურა, ქული დაიხურა, მხარზე გადაიკიდა
„სამეფო გერბიანი“ ბოლჩა და შიგ ჩაიღო ორი შაურის პური
და ყველის ნაჭერი. ამ გვარათ მომარაგებული გაემგზავრა
ის კლდისაკენ.

— დილა მშვიდობის, ფაქეშ! — უთხრა მან, როცა გა-
მოქცეხულში შევიდა.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, ჩემო ბატონო! — უბასუხა მო-
ხუცმა ჩაჩანს.

— ახალი რა ამბავი იცით? — ბოიკების ჩვეულებისამებრ
შორიდან გაუბა ბასი ვოიტმა.

— ცული ამბები, ბატონო, ცული ამბები! გუშინ აქ ჩვე-
ნთან „კაკორუზა“ *) იყო, სოფელში გვიპირებდა წაყვანას.

— სოფელში? არა, მეგობრებო, იმას პოდბუესს უნდო-
და თქვენი წაყვანა, სასამართლოში.

— რისთვის?

— მე რა ვიცი, რისთვის. ალბათ სხვა სოფლებში ბევრ
კულდს რასმე ეტყოდნენ თქვენ შესახებ. მაშ ტყუილათ ხომ არ
უძებნინებთ იმდენ ხანს, რომ აქაც კი გამოუჩხრეკიხართ..

— ოხ, ღმერთო ჩვენო, ღმერთო ჩვენო! — კენესით წამო-
იძახეს ციგნებმა, — რაღა გვეშველება?

— რა უნდა გირჩიოთ, თქვე უბედურებო! იმან მიბძანა
თვალყური გადევნოთ, სანამ ის არ დაბრუნდება და მერე მას
უნდა ჩავაბაროთ.

— თქვენ ახლა ჩვენი დაჭერა გინდათ? — მშვიდათ, მა-
რა ფარული მუქარით უთხრა მოხუცმა ციგანმა.

— ღმერთმა დამიფაროს! — უთხრა ვოიტმა. — განა მე თქვენ
დღეს გაგიცანით თუ? მე ვუთხარი იმ დარაჯს, რომ ციგანი
და მინდვრათ მქროლავი ქარი სულ ერთია. ამ წამს ის აქ
არის და მეორე წამს კი არა. ვინაა მას რომ საბელს დააბამს.
იცით რა გითხრათ: აი აქ ცოტა პური და ყველა, მიიღეთ
ეს ჩემგან და წადით აქედან! წადით სადაც გინდათ, ოღონდ
თქვენზე მე კი არაფერი მესმას. მე თქვენთვის ცული არაფერი
მინდა, მარა არც ის მინდა, რომ თქვენგან რამე უბედურებაში
ჩავარდე. გესმისთ?

— გვესმის, ბატონო გვესმის! ღმერთმა გადაგიხადოსთ! —
დაბლა თავის დაკვრით უთხრა მოხუცმა და მასთან ერთათ
მადლობა გადაუხადა მთელმა მისმა ოჯახმა. ვოიტმა ყველი
და პური ქვის იატაკზე დასდო და ფრთხილათ, რომ არვის
შეემჩნია, საჩქაროთ სოფლისაკენ გამოსწია. გულში კი ძა-
ლიან დაცინოდა დარაჯს, რომელიც ხვალ დაბრუნდება და
ციგნების კვალსაც კი ვერ იპოვის.

III.

ტყუილათ არ ამბობენ მთის შემოდგომა ბარის ზამთარს
არ ჩამოუვარდებაო. ის იყო დარაჯი გადავიდა ლასტოვ-
კავს საზღვარს, ვოიტმა დაასრულა თავისი პოლიტიკური
მონდობილება და დაბრუნდა სოფელში, — რომ პარაშკას
მწვერვალი, რომელიც სამკბილა ფიწალივითაა ამართული,
უეცრათ ბურუსით დაიფარა; ძლიერი მკენესარი ქარი ვეება
ბოლქვებათ მოერეკებოდა ქვემოთ ამ ბურუსს. ნახევარ
საათსაც არ გაუვლია, რომ ყველაფერი გაქრა და მიიმაღა ამ
გრიგალსა და თოვლიან ქარტეხილის ბოლქვებში, რომელიც
ყოველი მხრივ სცემდა თელებში და აბრმავებდა მგზავრს.

დარაჯი წამდაუწუმ აფურთხებდა და იღანძვებოდა. იგი
მედგრათ ებრძოდა ქარიშხალს და შეუპოვრათ მიდიოდა წინ.
აღარც მისი ს-დარაჯოს უკანასკნელი სოფელი იყო შორს,
სადაც ის უნდა მისულიყო დაღამებამდის. მარტოოდნ საცალ-
ფეხო ხიდი უნდა გადაევიდა, რომ მდინარის მეორე ნაპირას
გასულიყო. მარა ეს გვარნიანი საურთხილო იყო. ხად ქვეშ
მდინარე ცუფიანივით ღრიალებდა, ხოლო ზემოთ ისე ღონი-
ვრათ უბერავდა ქარი, თითქო ტანიდან ტანისამოსს ხელით
აგლეჯსო. ხიდი თოვლისაგან მოლიპული იყო და ქარიც
თვალეებს უბრმავებდა. შედგა თუ არა ხიდზე, დარაჯს ფეხი
დაუსხლტა და წყალში ჩავარდა. მდინარე ღრმა არ იყო, მარა
საშინელა ჩქარა კი დაქანებულმა წყალმა ერთ წამს ააგლიჯა
მას მხრიდან ყარაბინი და მამლის ფრთიანი ქული. დიდი
მრგვალი ქვა, რომელსაც მდინარე მოაგორებდა, ფეხებში
დაეტაკა მას და წააქცია. დიდი ცოდვილის შემდეგ, როგორც
იქნა, ამოფურთხდა დარაჯი ნაპირზე. ის მთლათ ერთიანათ
ამოიწუმბლა და გაიყინა. ცოტათი რომ მიინც შემთბარიყო,
საწყალმა, რაც ძალი და ღონე ქონდა, მოკურცხლა სო-
ფლისკენ, ნაცნობ მღვდლისას. თუმცა სოფელი შორს არ
იყო, მარა, სანამ ქობთან მიიბრუნდა, ტანზე მას ტანისამოსი
ძვალავით შემოეყინა და თითქო ხმაც ჩაეყინა მკერდში.
მღვდლისას ის ღონივრათ დაზილეს და გაათბეს. ამ დახმა-
რებამ და მისმა რკინის ჯანმრთელობამ დაიფარა ის მძიმე
ავათმყოფობისაგან. საშინელმა ცხელებამ მთელი ერთი კვირა
მიინც ჩააწვინა სი ლოგინში. მთელი ამ კვირის განმავლობაში
არ დაწყნარებულა ქარი და შეუწყვეტლათ თოვდა; ამასთან

*) „კაკორუზას“ ციგნება მოკრობის დარაჯის ეძახიან

საშინელი ყინვაც იყო. ასე რომ, არამც თუ ავთომყოფი, სა-
ლი აღმნიანიც კი-არ გაიშვებოდა ერთი სოფლიდან მეორეში.
მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ქარი ჩადგა და გამოიღარა,
ყინვამ კი უფრო და უფრო მოუჭირა. დარაჯს არ უნდოდა
მეტ ხანს დარჩენა, თუმცა მღვდელი კი ვერ ბედავდა ჯერ კი-
ღე ნახევრათ ავთომყოფის ქვეითათ გაშვებას, მარა იმან მაინც
უბძანა მარხილი შეებათ და წაეყვანათ პოდბუჟს, სადაც მან
აღრევე გაგზავნა დარაჯის შესახებ ყოველივე ცნობა.

როდესაც ლასტოვკაში გაიარა, დარაჯს მოაგონდა ცი-
გნები, რომლებიც მან ისეთ გაჭირვებულ მღვდმარეობაში
დატოვა. იმან უბძანა მეეტლეს ვოიტის ქონის წინ გაჩერებუ-
ლიყო, გამოიხმო ის და კითხა.

— რა უყავათ ციგნებს?

— აბა, გვიბრძანეთ, ბატონო, რა უნდა გვექნა, — თავის
ქვეით მოახსენა ვოიტმა: როცა ისინი იქ არ დაგვხვედრიან?

— როგორ თუ არ დაგვხვედრიან?

— თქვენ რომ ჩემგან წაბძანდით, მე მაშინვე მოვემხადე
და წავედი იმათ დასაქვრათ, მარა გამოქვებულში ერთიც არ
დამხვედრია ალბათ თქვენი შეშინებით, ბატონო, და იმ ღა-
მესვე გაპარულან.

— ა, ის წყეულები! დაიყვირა დარაჯმა. — დამაცათ,
კიდევ ჩაგივდებთ მე თქვენ ხელში!

ვოიტმა თავი დაუკრა და გუნებაში იცინოდა, რომ ასე
რასტატურათ დაიძვრინა თავი უბედურებისაგან. გარისხებული
დარაჯი კი გაეხვია თავის მოსახსამსა და თბილ ცხერის ქურქში,
რომელიც მღვდელს ეთხოვებინა მისთვის საგზაოთ და უბძანა
მეეტლეს წასვლა.

IV.

ყინვას მდ. სტრი დაეწყინარებია. ქვემოთ, კლდის ქვეშ,
წყლისაგან გზა გათავისუფლებულიყო და, რადგანაც ეს
უძლიერესი გზა იყო, დარაჯმა ამ მხრისაკენ უბრძანა წაყვანა.
გამორდენ თუ არ ტყეს, რომელიც შავი კედელივით ყოფს
ლასტოვკას დანარჩენი ქვეყნისაგან, დარაჯი შიშით მიშტერდა
უხარბაზარ კლდეს, რომელიც მის წინ აიმართა. კლდის
მწვერვალზე თოვლი აღარ იღო: ეს ზამთრის ქინქლი ქარს
ქვეითა საუბურებზე ჩამოეხვეტა. დარაჯს გულზე თითქო რა-
ღამაც უტბინა, როცა დაინახა, რომ კლდის მწვერვალი დაფარუ-
ლიყო ჭილყავითა და სხვა მტაცებელი ფრინველებით, რომე-
ლი ღნიც ხან სხდებოდენ, ხან თავს დატრიალებდენ და თავისი
შემზარავი ყვირილითა და ყაყანით მიდართს აყრუებდენ.

მარა ეს რა უნდა იყოს? მთის შავი ნაპრალიდან, რო-
მელშიაც ბლომათ ჩაყრილიყო თოვლი, ისე როგორც რვა
დღის წინეთ, აღიოდა ძლივს შესამჩნევი მოლურჯო ფერის
კვამლი. რამდენსამე წამს დარაჯი იქვე იყო, ცხადათ ასე
იყო, თუ ცხელების შემდეგ მხოლოდ ეჩვენებოდა მას; მარა
მისმა მეეტლემ ბოიკომ დაარწმუნა ის, რომ კლდიდან მართლა
ამოდიოდა კვამლი. ნუ თუ იქ კიდევ ვინმეა? დარაჯი ცნობის
მოყვარეობამ აიტანა. აი, მიუახლოვდენ კლდეს ბილიკი, რო-
მელიც მალა აღიოდა, თოვლით იყო დაფარული და მის
თეთრ სავანზე აღმნიანის ერთი ფეხის კვალიც კი არ ემჩნეო-
და. მხოლოდ ყორნებმა და ჭილყავებმა იმათ მოახლოებაზე
უარესი ღრიანცელი ასტეხეს.

— ეს კაი ნიშანი ვერაა, რომ ამდენი ფრინველი მოფ-
რენილა აქ, — შენიშნა მეეტლემ, — უბედურება რამ არ მო-
მხდარიყოს აქ? ეს წყეული ფრინველი მაშინვე ყნოსვით
ტყობილობს.

დარაჯმა უცებ მოიხსნა ქურქი და ჩადრი, რომ უფრო
აღვილათ აფორთხებულყო კლდეზე; მეეტლემ ორი ჯოხი
გამოტეხა დასაბიჯებლათ და ამკვარათ ერთმანერთის დახმა-
რებით, დიდი გაჭირვებით ავიდენ ზევითა მაიდანზე. ჭილყვა-

ვები ყვირილით თავს დატრიალებდენ მათ, თითქო უნდათო
ძალათ წაგლიჯონ თავიანთი ნაშოვარი.

გამოქვებულის შესავალი წინანდულად დატრიალდა
ამოქოლილი და დატენილი ხავსით, მხოლოდ კლდის ქურქით
ნაპრალიდან მოძვებოდა კვამლი. ჯირკი გადააგორეს და
შევიდენ. გამოქვებულში სიჩუმე იყო და ბნელოდა. კარგა
ხახს შემდეგ, როცა მათი თვალი სიბნელეს შეეჩვია, გამო-
ქვებულის შუაგულ იმათ შენიშნეს რაღაც შავი, უფორმო
რამ. ეს იყო ხროვათ, ერთი მეორეზე მიწოლილი ციგნები,
რომლებსაც თავზე ხავსი და ფოთლები წაყარათ და, რო-
გორც ეტყობოდათ, რამდენიმე დღის წინეთ დახოცილიყვენ.
ეკრახე ბოლავდა ჯერ კიდევ გაუმქრალი უკანასკნელი კუნძი.

რა იყო მათი სიკვდილის მიზეზი? შიმშილი? სიცივე? თუ
შესაძლოა გამოქვებულში დაგუბებულმა კვამლმა გამოარჩო?
მათი სხეული იყო ვალურჯებული, გაყინულ-გაფრინებული...
როცა დარაჯმა ამ სხეულების ხროვა გადაწვა-გადმოწია, შენი-
შნა, რომ მოხუც ციგანს ქვეშ აღარ ეგო ცხენის ტყავი, რო-
მელზედაც წინეთ ეძინა ხოლმე; ამ ტყავის ნაღები ნაკუწები
აღმოჩნდა... ბავშვების ხელში.

დიდხანს იდგა დარაჯი და მისი მეეტლე მიცვალებულე-
ბის წინ დამუნჯებულ-თავზარდაცემულნი. შესაძლოა იმათ გო-
ნებაში წარმოუდგა ამ უბედურთა საშინელი ტანჯვით გატა-
რებული მთელი დღე და ღამეები, ბავშვების კვნესა და ტირი-
ლი, მოხუცთა უძლურება და უმწეობა, მთელი ზღვა გაჭირვე-
ბისა, მწუხარებისა და მოთმინებისა, რომელთაგან ახლა დარ-
ჯა მარტოდდენ ეს უძრავი ერთ გუნდათ შექუჩებული ცხედა-
რნი.

უტყვათ, მუნჯათ, გულმოწყლულნი გამოვიდენ გამოქვა-
ბულიდან მეეტლე და დარაჯი წმინდა ჰაერზე და შესავალი ამო-
ქოლეს, რომ ფრინველები ცხედრებს ვერ მიკარებოდენ. შემ-
დეგ, როცა მარხილში ჩასხდენ, მეეტლემ პირჯვარი გადაისა-
ხა, პირი კლდისაკენ მიიბრუნა და ლაცვის ჩურჩული დაი-
წყო. დარაჯი კი ამ დროს მომხდარი ამბის შესახებ გონებაში
მხსენებას ადგენდა.

ნარინი.

ციხის აედლებ შუა.

(მოთხრობა სკიტალეცისა).

(გაგრძელება).

სოლოვეი აღტაცებით უსვამდა ბუქნას: პატარა, მაგრამ
კუნთებ განვითარებული და მოქნილი ის ხერხიანათ ათამაშე-
ბდა ფეხებს, ხტოდა მალა რეზინის ბურთივით და თან ატ-
რიალებდა ერთი ხელიდან მეორეში თვის პატარა ქუდს.

ყველას სახეზე ღიმილი კრთოდა.

თვით სოლოვეი კი სერიოზულათ გამოიყურებოდა. მისი
შავგვრქანი მრგვალი პირისაზე პატარა უღვაშებით და ბრწყი-
ნავი თვალებით რაღაც დაცინვით გამოკრთოდა, თითქოს უნ-
დოდა ეთქვა:

— ძალიან ეწუხვარ, თქვენმა მზემ, რომ სასამართლომ
სასჯელში მიმცა, აი!

კალაენის კარებში ხშირათ შედიოდენ და გამოდიოდენ
სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი. აგერ თეთრ ხალათებში რევოლ-
ვერითა და ხმლით გამოწყობილმა სალდათების ზეოდმაც გა-
იარა. ისინი შევიდენ მეორე ეზოში, სადაც გასაგზავნ ტუსა-
ლებს ამწყვდევდენ. საინტერესო იყო ეს ეზოც. ვის არ ნახა-
ვლით აქ? ერთს ნახევრათ ჩამოგლეჯილი ტულუჟი აცვია, მე-
ორეს ასეთივე პინჯაკი, ზოგს სალდათის ფარაჯა... აქ იყვენ
მოხუცები, ბავშვები, ქალები... უცებ ამ ბრბოს შორის გა-
მოჩნდა მედიდური სახეც კეთილშობილ მიწანწალასი. ბევრ
მათგანს ზურგზე ტოპრაკები ეკიდათ, ზოგს წაღები და ზოგ-

საც ქამარზე ჩაიდან ჩამოვიდა. ზოგიერთები ემშვიდობებიან ახანავ ტუსალებს, არამევენ ხელს, ულოცავენ გზას. ბრბო გადის გალაგნის კარებიდან, მას თან მიდევნებენ შეიარაღებული დარაჯები. კაცი გაკვირვებით უყურებს ამ მგზავრთა ჯგუფს. ამ ლანდებრ მოსულეებს ვინ იცის საიდან, ან რისთვის? ესენი ხომ შეუწყვეტლივ დაიარებიან ასე! რათა, რისთვის, ვინ არიან ეს აჩრდილები? ისინი თვისი დუმილით და კიხის კარებისკენ გამგზავრებით, გვაგონებენ ჩვენ რაღაც იღუმალ ცხოვრების არსებობას...

მიეფარენ ისინი და კარებში ძლივს-ძლიობით შემოეტიოვილაცას არა ჩვეულებრივი სისხოს სხეული.

ეს იყო შავ წვერ-ულვაშა გლეხი, ახოვანი ტანის, წითელ ხალათსა და მალალ ყელიან წაღებში ჩაცმული, თავზე ჩერქეზული ქუდი ეხურა. მას განიერი მხარბეჭი ქონდა. ვადმოწეულ გულმკერდზე ეფინებოდა შავი გძელი წვერი. მთელი მისი არსება რაღაც კვერ ქვეშ გამოქედლილ რკინის არსებას წარმოადგენდა. მან მოავლო შუბლშეჭმუხვებით თვალი ციხის ეზოს და მალალი ხვით დაიყვირა:

— გამარჯვება, ჩემო მამილო ციხე-პატრონო!

უკან შემოყვენ სალდათები თოფებით ხელში და პაწია ტანის, დაგვალული ციხის ჩინოვნიკი პოლიციის მუხღირში. ტუსალები ეიკას. გარდა ყველა ფეხზე წამოდგენ და ქუდი მოუხადეს პოლიციელს. მან წარბებ შექმუხვებით ხელი გაუქნია ტუსალებს. ტუსალები გაიფანტენ ეზოში. თვით კი რაღაც ბანების გაცემის შემდეგ წავიდა გადსაგზავნ ეზოსაკენ. ახლათ მოყვანილმა ახოვანი ტანის გმირმა დაიწყო ეზოს კარებთან სიარული, თითქოს ადგურზე ეტლის შებმას ელოდებოდა. მას ქამარში ხელები ჩაებნია, თავი ძირს ჩაეკიდა და ასე დადიოდა წინა და უკან.

ბიკოვი და ორი სხვა ზედამხედველი მას შორი-ახლო დარაჯობდენ.

დარაჯები ამ ახოვან ადამიანის წინ რაღაც სასაცილოთ მოჩანდენ. ბიკოვის თოფის ხიშტზე კვლავ ჩხარუნებდა გასაღებები.

რამდენიმე წამის შემდეგ ტუსალთა გასაგზავნ ეზოდან გამოვიდა ციხის მოხუცი უფროსი. მას თეთრა კიტელი ეცვა და თავზე კაკარდიანი კარტუზი ეხურა. ის ნელი ნაბიჯით მიდიოდა ალაყაფის კარებისაკენ. დარაჯები მის მიახლოვებაზე გასწორდებოდენ, გაიკიშებოდენ, ხოლო ტუსალები ქუდს იხდიდენ, გარდა ერთი წითელ პერანგა და ჩერქეზულ ქუდიანისა, რომელიც ისევ ისე ბოლთასა ცემდა და მხოლოთ ოღნავ შეხედა ვდა ხოლმე უფროსს.

უფროსი მიუახლოვდა მას და ნელის ხმით, მაგრამ დაბეჯითებული კილოთი დაუწყო რაღაც ლაპარაკი. ის შეჩერდა მის წინ, ცოტახანს ყური დაუგდო, მაგრამ არ დაათავებია ლაპარაკი და გაჯავრებით დაიყვირა:

— ო—თხშა—ბათს! ყვიროდა ის და გაცხარებული იქნევდა ხელებს.— რაო? მე სამეობის დღე ციხეში უნდა გავატარო?! არასდროს! ახლავე გამიშვიო! მე აქ ყოფნა არ მიინდა! ან არა და გამგზავნეთ საავათმყოფოში, თორემ ყველაფერს დავამტვრევ და დავლეწავ! ახლავე! ამ წუთასვე!

უფროსმა კიდე გაუმეორა მას თავისი სიტყვები, მერე გაიქნია თავი და გასწია კარებისაკენ. ამ დროს კვლავ დაიგრგვინა გაბრაზებულმა და მედგარმა ხმამ:

— მაშ ასე? შამომიტყუეთ აქ და აღარ გინდათ გინშეათ, ციხეში გინდათ ჩამსვით? თავისუფლება გინდათ წამართვათ? ასე ფიქრობთ განა! მაგრამ მე ის ბიჭი არ გახლავართ, მე მთელ რუსეთში მიცნობენ! მე თვით დიდი მთავარი და უმარტობულეს სინოდის პროკურორიც კი მიცნობს! აბა ერთი ცადეთ და დამიჭირეთ! მე მოსკოვის სატუსალოში ფანჯრების

რკინები გამოვამტვრიე, თქვენც იმ დღეს დაგაყენებთ! მე პეტერბურგში სასახლის დარაჯები ცხვრებივით დავილალოე და თქვენ რა ხართ! მერე რა მიყვეს? არაფერი! მხოლოდ ჩემი სურათი გადაიღეს და სამგზავროთ ფულიც მიმცეს. თქვენც ასე ნუ მებუმრებით! ჰა! ალებთ კარებს?!

ის მივიდა კარებთან და დიდი მუშტი კვერივით დააჯახა ფიცრებს.

— გააღეთ!

არაინ ხმას არა ცემდა. მთელი ეზო დაცალიერდა. ყარაულები განაბენ და ტუსალები კი უყურებდენ შორი-ახლოდან, ის კი თანდათან უწევდა ხმას, ბრაზდებოდა და ილანძლებოდა უშვერის სიტყვებით.

— ეი, თქვე ანაფემებო, იუდანო, მოლალატენო, წყეულო იროდებო! გაძღვეთ ხუთ წუთ ვადას! არ გამიღებთ, დავლეწავ აქაურობას!

— იოსტატეთ რადა! თავისუფალ კაცს თავისუფლება გინდათ წაართვათ? რომელ წიგნში, სად წერია, რომ თუ კაცს პასპორტი არა აქვს, არც ექნება და არც უნდა რო ქონდეს, ციხეში დაამწყვდიოთ და შემოატაროთ მთლათ რუსეთი! ოხ, თქვე ურჯულთებო! გამაყოლეთ დარაჯები, მე წავალ, დღეში ას ვერსს გაეიგლი ფეხით, ან არა და ვიყიდი ცხენს! თქვენა გგონიათ ფული არა ნაქვს! აი, თუ არა ნაქვს! აი ჩეკი! წავალ ახლავე ბანკში და ავიღებ ფულს. რისთვის მიჭერთ მე, როგორც ყაჩაღს და ისიც სამეობის დღეს გინდათ, რო ციხეში ვიჯდე?! რისთვის! რათა! არ მინდა, არ მინდა! დავლეწავ დავანგრევ აქაურობას!

ის შეჩერდა ცოტა ხანს, მერე მიიბრინა იმ ფანჯარასთან, საიდანაც გამოჩანდა გალია დამწყვდეული ჩიტით.

— აჰა, ეს ასე, აი ასე, ასე ვიზამ! დავფუშავ, დავანგრევ აქაურობას, ნახავთ რა დავმართოს თქვენ ჩიტებს და გალიებს!

დალეწილი შუშები ჩხარუნით ეცემოდენ კუბრით გადალესილ ეზოში, ოთახიდან არაინ არ იღებდა ხმას. მაშინ მან ალაყაფის კარებს დაუწყო რახუნი.

— გააღეთ თქვე ეშპაკის შვილებო! ყვიროდა ის. ახ ნეტა მძიმე რამე კი მომხვდეს ხელში და!

მან აქეთ-იქით მიიხედა, დაინახა ბიკოვის საჯლომი ქვა, ერთ წუთს დატაცა ხელი, აწია მალლა, წავიდა უკან-უკან და დაახეთქა კარებს ეს დიდი ლოდი.

ეზოში მოისმა საშინელი ხმაურობა.

ქვა დაეცა კარების მოაჯირის წინ. ყარაულებმა მიიბრინეს მის ასაღებათ, მაგრამ გაბრაზებულმა მემამობემ მოუსწრო მათ, შედკა ქვაზე ფეხი და ხელის გაქნევით შეაჩერა ისინი.

— დაიკარგენით აქედან! დაიკივლა მან და არტისტულათ აიშვირა ხელი, მე სამსონი ვარ, მეორე სამსონი, ყველას ამოგწყვეტავთ! არ მომეკაროთ!

სწორეთ ამ დროს გაიღო კარები და ეზოში შემოვიდა ციხის უფროსი, რომელსაც განცვიფრებულ სახეზე ემცნეოდა, რომ მან არაფერი არ იცოდა, თურაში იყო საქმე. ამავე დროს ჩვენი მეორე სამსონი გავარდა გარეთ ელვის სისწრაფით.

— გაიქცა! მოისმა ეზოში ყოველი მხრიდან.

— მოიტყუილეს რადა! წარმოთქვა ვიღამაც დაცინვით. ატყდა ერთი ალიაქოთი, გამოვარდა გარეთ იგივე პაწია ტანის უფროსი, მას უკან მისდევდა ორმოცამდე სალდათი. ისინი გამოეკიდენ სამსონს.

სამსონი კი ამ დროს ეფარებოდა გარედან ჩაბნელებულ კარების კუნჭულს და იღვა იქ ხაფანგში გაბმულ მგელივით.

— ღმერთმა მე ძაღლონემომცა, თუ მოვინდომე, ყველას ამოგხცავთ, მაგრამ არ მინდა! აჰა, წამიყვანეთ, გნებდებით! დაიძახა მან თავის საფარადან.



ორმოცი სალდათი შემოვრტყა მას გარშემო.

— მოიტათ ბორკილები! მქედელს დაუძახეთ! ყვიროდა უფროსი.

— გაუყარეთ ხუნდები!

კარებთან ვიწრო, პატარა კუნჭულში თოთქოლობდნენ სალდათები, მემამოხე აღარა ჩანდა მათ შუა.

ის იწვა ძირს მიწაზე, ხმას აღარ იღებდა, ისმოდა მხოლოდ ბორკილის ჩხაკუნის და ჩაქუჩის ცემა

ბოლოს გაიღო კარები და ის დიდი ამბით შეიყვანეს ისევ ციხის ეზოში.

ის მიდიოდა სალდათებ შუა შებორკილი ხელფეხით. ხელები უკანა ქონდა გაკრული, ქუდი გვერდზე გადაწვოდა, შავი გძელი წვერი დაფენოდა მკერდზე.

ტუსალები იდგნენ შორი-ახლო და უყურებდნენ მას თანაგრძნობით. მან შეხედა იმათ, გაუქნია თავი და შეეყვირა მძლავრი ხმით:

— უყურეთ, ძმებო, აი მტარვალები!

ის შეიყვანეს საპრობილეში.

ტუსალები ისევ კარებთან შეჯგუფდნენ. მაგრამ მათ ახლა გუნება მოეშალათ, ისინი იდგნენ ჩუმად და ნელელიანათ უყურებდნენ ერთმანეთს. აღარ მოისმოდა არც სიმღერა, არც ხუმრობა.

საპრობილიდან გამოვიდა პაწია ტანის ციხის უფროსი და მიუახლოვდა ტუსალებს. მათ უგულოდ მოიხადეს ქუდები.

— მე თქვენ, ბატონებო, უნდა გამოგიცხადოთ, რომ დღეიდან აღარ გამოგიშვებთ ჩვეულებრივ სასაფლაოთ. კანონით მხოლოდ დღეში ორჯერ საათი შეგიძლიათ იყოთ გარეთ. დღეს უკანასკნელი დღეა თქვენი სეირნობისა.

ტუსალებმა გაჯავრებული ხმით ჩაილაპარაკეს რაღაცა.

— ეს ჩვენი ბრალი არ არის, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული, დაუმატა უფროსმა და გაეშურა ეზოს კარები-საკენ.

გაისმა ზარის ხმა და ტუსალებმაც გაწიეს საპრობილის ოთახებისკენ.

მზე დასავლეთისაკენ ეშვებოდა, მისი უკანასკნელი სხივები ნაღელიან და უძრავ ღრუბელში ქრებოდა. ბნელდებოდა თან და თან წყდებოდა ხმაურობა. ცაზე აქა-იქ გამოკრთენ ვარსკვლავები. ხმაურობა თანდათან წყდებოდა.

ბორკილების ჩხარუნით მიდიოდნენ ტუსალები საპრობილის ვიწრო კედლებ შუა. მათ წაერთვა თავისუფლების უკანასკნელი სხივები!

მათ ნელნელა ნთქავდა საპრობილე.

სასადილო ოთახი მოთავსებული იყო ძირს სარდაფში. კაეშან აღმძვრელი სიჩუმე და სიბნელე კაცს სიკვდილივით დატრიალებდა თავზე. კაცს ეგონებოდა, რომ აქ ისევ აღმართულია წარსულთა დროთა საწამებლები, თითქო მოისმოდა კენესა და გმინვა წამებულებისა.

ცა ვარსკვლავებით მოიქედა, გამოჩნდა პირბადრი მთვარეც და გაანათა არემარე.

ბიკოვი ისევ თავის ქვაზე იჯდა მხარზე მიყუდებული, მას თითქო თვლემავდა, ან რაღაც ფიქრებში იყო წასული. თოფის ხიშტის წვერი პაწია ვარსკვლავივით ბრწყინავდა.

ციხეში მღეროდნენ.

მღეროდნენ ყოველ ოთახში, ძირს, მაღლა, ყოველ მხრიდან ჯგუფდებოდა ერთათ ხმები.

„კენესის ციხეში, საპრობილეში, კენესის მადნებში მაგარ ხუნდებში!“...

ყრუთ, მაგრამ გულის დამწველათ მოისმოდა ქვემო სართულიდან.

ზემო სართულიდან კი მოისმოდა სასაცილო სიტყვებით მოთვლილი:

დილით აღრე ნამტკიენ თავით ბერიკაცი მიდის ლანძღვით, მოდის ლანძღვით!...

გუგუნებდა ბოხი ხმა.

მათ ხმას ფარავდა სიმღერა მეორე ოთახიდან:

ახლა არ მინდა მე მეგობარი,

მეგობრათა მყავს რკინის ბორკილი...

მათ პასუხს აძლევდნენ მეორე მხრიდან.

გაეა ზამთარი, მოეა ზაფხული, აყვავდებიან მთა-მინდორები;

მე კი უბედურს შემექედება მაგარი ხუნდით ორივე ხელში.

მოეა დალაქი სამართებელით, მარჯვენა მხარეს ჩამოპარსავს თავს,

და მე მაშინ ხო დავემგვანები საზარელსა და საზიზღარ სურათს!

მაგრამ ყველა ამ ხმაში ირჩეოდა ნაღელიანი ხმა ციხის სიმღერისა:

სადაც ზღვა მარად ღელავს და ღელავს, ტალღებს ახეთქებს უდაბურ ნაპირს...

იშლებოდა მძიმე-მძიმეთ მწუხარე პანგი-ციხის დაღვრემილ კედლებ შუა...

ძინავს იქ კანონს, ძინავს სიმართლეს...

მხოლოდ ზღვა კია ისევ და ისევ ნაპირებს ახლის მძვინვარე ტალღებს!

მღერის ციხე თავის ნაღველს, ემშვიდობება სიყვარულს, თავისუფლებას.

ბიკოვი კი ზის ისევ ქვაზე. ის მიჩერებია პაწია სარკმელს, სადაც დაამწყვდიეს სამსონი. ბიკოვს შეუყვარდა, მოეწონა ახალი ტუსალი, რადგან ის ძლიერ ღონიერი იყო. მან ცადა აეწია მისგან გადადებული ქვა, მაგრამ ვერ შეძლო.

სამსონი კი ამ დროს არახუნებდა შიგნიდან ფანჯარას და იგინებოდა:

— წყულებო! ქრისტეს გამყიდავნო! მე დავანგრე მთლათ თქვენ კოშკებს! არა, სამებობის წინა დღეს! ჰა? ტარტაროზე-ბო!

ბიკოვს ესმოდა მისი ბორკილების ჩხარუნის.

მაგრამ აგერ ტუსალმა მოაველო რკინის ჩარჩოებს ხელები, გასწია მძლავრათ და ერთი წუთის შემდეგ აღარ იყო ფანჯარა. ბორკილებიც დააწყდა. ბიკოვი შეშინებული იდგა კედელთან და უყურებდა განაბული.

— დავანგრე, ყვიროდა სამსონი, დავლევწავ აქაურობას! ოხ, ღმერთო, რისთვის მომეცი ისეთი ღონე, რომ ჩემი სიცოცხლე ციხეში უნდა გავატარო!

მას არავინ არ აძლევდა პასუხს.

ციხეში ისევ მღეროდნენ...

ი. ე — ლი.

(შემდეგი იქნება)

ქალთა სტიჰინდინების გამოც.

„ივერიის“ 5 ავლისის ნომერში წავიკითხე ცნობა: თავდაზნაურობის ამორჩეულ კომისიას, რომელსაც ქონდა მინდობილი მოსაზრება, როგორ უნდა დაეხარჯათ უმაღლესათ ნაბოძები ფული, გადაუწყვეტია, რომ ეს ფული სრულიათ მოხმარდეს მოსწავლე ახალგაზღვრებს, ზოგი მაღალ სასწავლებელში სტიჰინდინებთ და ზოგიც საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთ. საბრალო ქალებიც არ მიგვეცეს დავიწყებას და თუმცა ერთობ მკირე ნაწილი გვარგუნეს, მაგრამ მე ამ მკირე ნაწილმაც გული სიხარულით ამიტოკა და კალამი ხელში

ამაღებია, რომ ჩემი განუსაზღვრელი სიხარული სხვებსაც გავუზიარო. ვიმეორებ, თუმცა მცირე ნაწილი გვარგუნეს, მაგრამ ამისთვისაც დიდი სიხარული გვმართებს. ეს გადაწყვეტილება იმის უტყუარი ნიშანია, რომ ჩვენმა მამებმა და ძმებმა ძლიერ ის ხავს მოკიდებული აზრი, რომ ქალისათვის უმალღესი სწავლა საჭირო არ არის, რომ ქალი სახლის კერას არ უნდა მოშორდეს, რომ ქალების მეცნიერებას მარტო საქმელების მომზადება და კრუხ-წიწილების გამოზღა უნდა შეადგენდესო და საჭიროთ ცნეს ჩვენთვისაც უმალღესი განათლების მიღება. და რაკი იმათ ეს საჭიროება აღიარეს, აწი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საწავლებაც აღმოჩნდება. ეხლა კი ქალებზე და მოკიდებული, თუ როგორ ვისარგებლებთ ამ ჩვენზე მოვლენილი ბედნიერებით. თუ პირველი სტიპენდიანტკები კარგ მაგალითს დაანახებენ ჩვენ საზოგადოებას, თუ ისინი გაუმართლებენ იმედებს ჩვენ მოსარჩლეებს და რიგიან სამსახურს გაუწევენ თავიანთ სამშობლოს, მაშინ ჩვენი სწავლის საქმეც გაჩარხული იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი: თუ კი იმათ რიგიანთ ვერ ისარგებლეს ამ სტიპენდიებით და ჩვენი მოსარჩლეების იმედებს ფრთები შეაკვეცეს, მაშინ კი ჩვენი საქმე თუ სამუდამოთ დაღუპულათ არა, დიდი ხნით შეფერხებულიათ უნდა ჩაითვალოს. მაშ, ძვირფასო დებო, რომლებთაც ბედი გარგუნებთ უმალღეს სწავლა-მეცნიერებაზე დაწაფებას, ეცადეთ, იზრომეთ, ისწავლეთ და დაუმტკიცეთ ჩვენ საზოგადოებას, ჩვენ მშობლებს, რომ უმალღესი სწავლით აღჭურვილი ქალებიც უმალღეს სწავლა-დამთავრებულ მამაკაცებზე არა ნაკლებ სამსახურს გაუწევენ ჩვენ სამშობლოს. იცოდეთ, რომ ჩვენი მომავლის ბედნიერი იქნენ ხელშია.

ე. ქ. — ბე.

შენიშვნა.

„ივერიას“ რომ აღამიანურათ მსჯელობა არ შეეძლო, ეს მე კაი ხანია ვიცოდი; ამიტომ მისი უშვერი და უწმაწური ღმინძღვა-გინება, პირადათ ჩვენ წინააღმდეგ მომართული, ჩვენთვის არ ახალია, ძველია, ყოველივე ეს ჩვენ უკვე აღარ გვაკვირვებს ჩვენ გვაკვირვებს და იმავე დროს ველარც მოგვიტყენია ის გარემოება, რომ ეს ახირებული გაზეთი სამსახროთ იღებს და შეურაცხყოფას აყენებს საერთოთ ყველა საზოგადო მოღვაწის სახელს. ვინ არის „ივერიის“ წარმოდგენით „საზოგადო მოღვაწე“? უწინარეს ყოვლისა იგი უნდა იყოს „ჩინოვნიკი“, შემდეგ სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრი და იმავე დროს რაიმე ნაირათ დაახლოვებული იყოს რომელიმე დროგამოშვებითი ორგანოს წრესთან, — მოარჩა და გათავდა. ყველა ის, ვინც ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, „საზოგადო მოღვაწე“, მის წინაშე ყველამ მუხლი უნდა მოვიყაროთ და ქებათა-ქება უნდა შევასხათ! ამის შემდეგ, აბა ერთი მითხარით, რომელ კაკარდოსანს თავად-აზნაურობის წევრს არ შეუძლია თავის თავი საზოგადო მოღვაწეთ გამოაცხადოს? მით უმეტეს, რომ სანამ „ივერია“ იარსებებს, ერთი მაგამდე სულყოველთვის იქნება, რომელიც მის ფურცლებზე ისეთ „მოღვაწეთა“ ბიოგრაფიებს გამოქრმავს! მაგრამ რა ვქნათ, რომ ასეთი საზოგადო „მოღვაწენი“ ჩვენ არა გვწამს? რა ვქნათ, რომ არც ამ „მოღვაწეთა“ ბიოგრაფი მაგამდე მიგვანია ლიტერატორათ? აი ეს არის ჩვენი დანაშაული, რომელსაც ჩვენ საჯაროთ ვაცხადებთ, და სწორეთ ამიტომაც არის, რომ ბ. ვ. აბულაძეს ჩვენ საზოგადო მოღვაწეთ არა ვთვლით. ვის თვალშიაც კემშარიტებას ცოტაოდენი ფასი მაინც აქვს, ჩვენ ამით უფრო მეტ პატივისცემას ვუცხადებთ ბ. აბულაძეს, ვინემ მაგამძის პირით — ვახ. „ივერია“ განა ბ. აბულაძე არა გრძნობს, რომ იგი ჯერ ჩვენში საზოგადო მოღვაწეთა სიაში არ წერებულა? ან შეიძლება იგი მართლა აც-

დუნა მაგამძის გამოცხადებამ? ჩვენ ეს არა გვგონია, ამასთანავე შეიძლება, რომ ბ. აბულაძე, თანახმათ მაგამძისა, „მონაწილეობას იღებდა ქუთაისის ქრონიკისა და სათავად-აზნაურო საქმეებში, იყო სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრი, დაახლოვებული იყო მაშინდელ ინტელიგენციის ორგანოს „შრომის“ წრესთან და უწევდა ზნეობრივ დახმარებას და სხვა-და-სხვა — მაგრამ ყოველივე ეს იმდენათ შეუმჩნეველი და უფერული ყოფილა, რომ არსად ამ მოღვაწეთობის კვალი არა ჩანს, არავის ბ. აბულაძე საზოგადოებრივ მოქმედების ასპარეზზე მოღვაწეთ არ ახსოვს. ვარწმუნებთ ბ. აბულაძეს, რომ ამას ჩვენ სრულებით მის დასაუგებლათ არ ვამბობთ. პირიქით, როცა მაზე ლაპარაკობენ, როგორც საზოგადო მოღვაწეზე, — აი ეს კი სულ სხვა საქმეა. რა საზოგადო მოღვაწეთობა უნდა დაინახოს კაცმა თუნდაც იმაში, რომ ბ. აბულაძე „შრომის“ წრესთან დაახლოვებული იყო და უწევდა მას ზნეობრივ დახმარებას? განა ვინც ხსენებულ წრესთან დაახლოვებული იყო, ყველა ისინი საზოგადო მოღვაწენი იქნებიან? ასეთი მსჯელობა ხომ შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება ბ. აბულაძის სათავად-აზნაურო საქმეებში მონაწილეობის მადებას, ამის შესახებ, მაგამძის საყურადღებოთ, მხოლოთ იმას ვიტყვი, რომ ბ. აბულაძეს, როგორც თავად-აზნაურობის წევრს, არ შეეძლო არ მიელო აქ რაიმე მონაწილეობა, თუმც არასოდეს მის მოქმედებას გამოჩენილი ხასიათი არ ქონებია. ბ. აბულაძე იმ თავითვე ემხრობოდა ლოლობერიძის „პარტიას“, თუ ამ სიტყვის ხმარება აქ შესაძლებელია. ყველამ უწყის, თუ რის მოქმედი იყო ეს პარტია, უწყის აგრეთვე ისიც, თუ როგორ თანდათან გარდაიქმნა ეს პარტია ჩიკვაიძის „პარტიათ“. აი ეს ცნობა გამოარჩა ბ. აბულაძის ბიოგრაფს მაგამძეს. შეიძლება ეს გახსენება მისთვის სასიამოვნო არ იყოს, მაგრამ არც ეს შემატებს მის გმირს დიდ რასმეს.

მ. საუბრე.

ცოტა რამ ისტორიულ მაცნეობრივად.

(შტეინბერგის წერილის გამო)

ეხლანდელ დროში თითქმის ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ნადავ იცვლება და ვითარდება. თანაბრათ ამისა რთულდება და ვითარდება მისი გამომხატველი მეცნიერებაც, რომელსაც სოციოლოგიას უწოდებენ. მის წინ წამოყენებულია სხვა და სხვა მნიშვნელოვანი კითხვები, რომლებსაც ის შეძლებისა და გვართ ითვალისწინებს. ის წინ მიდის... ერთ წერტილზე შეჩერება მისთვის სიკვდილია და ამისათვის მისი შეწყვეტაც შეუძლებელია...

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ერთ სოციოლოგიურ თეორიაზე, რომელიც ისტორიული მატერიალიზმის — ანუ უკეთ რომ ვთქვათ — სოციალური მატერიალიზმის სახელს ატარებს. დღითგანვე მის წარმოშობისა ის თან და თან ვითარდებოდა და ვითარდებდა, იღვამდა და იღვამს ფეხებს საზოგადოებრივ მეცნიერებაში. დღეს თუმცა ბევრი ფიქრობს, ყითომ ისტორიული მატერიალიზმი თავის განახლებით თავის თავს უარყოფსო, მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია. ის ფაქტი, რომ ეს ისტორიული თეორია თან და თან იცვლება, იმას სრულიათ არ ნიშნავს, ვითომ მან ამით თავის უმთავრეს ტენდენციას უღალატა. ის მიდის ერთხელ გაკაფული გზით და თუ იცვლება ზოგიერთ კითხვების ახსნა-განმარტებაში, ეს მხოლოთ მის წინ-სვლას და განვითარებას მოასწავებს... მაგალითი ამის დასამტკიცებლათ ბევრია, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა ამ მხრით ის საკამათო და საცილობელი საკითხი, რომელიც შეეხება პიროვნების როლს ისტორიაში. ჩვენ აქ გვექნება ლაპარაკი, თუ როგორ უყურებდა ამ კითხვას ისტო-

რიული მატერიალიზმი წინეთ და როგორ უყურებს ახლა. აღნიშნავთ იმასაც, პრინციპიალურათ შეიცვალა თუ არა მისი ახსნა-განმარტება...

რა თქვა პირველათ ამ კითხვის შესახებ ისტორიულმა მატერიალიზმმა? რა თქვა და ზიარების რაღაც ისტორიაში შეუმჩნეველია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. რომ ერთი უკიდურესი მოძღვრება გააუქმოს მეორემ—ამბობს ცნობილი ბერშტეინი თვის „ისტორიულ მატერიალიზმში“—ამისათვის უთუოთ საჭიროა მეორეს უკიდურესობაც და სიმკაცრეც. ეს ყოველ აზროვნების ისტორიული აუცილებლობაა. თუ ამ მხრით შევხედავთ ისტორიულ მატერიალიზმს, მაშინ უნდა მივაქციოთ ყურადღება ვგრეთ-წოდებულ მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლების მოძღვრებას, რომელიც წინ დაუხვდა პირველს. ყოველი ადამიანი—ამბობდენ განმანათლებლები—დამოკიდებულია გარეშე წრეზე. ამ მხრით საინტერესოა კლასიკური მაგალითი ტენისა ხელოვნების დამოკიდებულების შესახებ, რომლითაც ის შეუდარებელი ანალიზით ხსნის, თუ როგორ იცვლება ის საზოგადო წრის შეცვლასთან. მაგრამ, როცა კითხვა თვით ამ საზოგადო წრის ასახსნელათ მიდგებოდა, მაშინ ისინი ადამიანის ბუნებას მიმართავდენ ხოლმე და მით ხსნიდენ ყოველ გვარ სოციალურ მოვლენას. სხვაგანა წრე ქმნის ადამიანს, ადამიანი ქმნის სხვაგანა წრეს—აი შუათი უკანასკნელი ლოლიკური დასკვნა, რომელიც ერთ მოჯადოვებულ წრეთ გარდაიქცა. და ამ წრიდან გამოსასვლელათ იჩინა თავი ისტორიულმა მატერიალიზმმა...

ამ უკანასკნელმა განაგრძო განმანათლებლების მიმართულება და საყოველთაოთ აღიარა, რომ საზოგადოება ქმნის ყოველ ადამიანს, მის ხასიათს, ზნე-ჩვეულებას და სხ. მაგრამ იმის მაგიერათ, რომ თვით საზოგადოების ასახსნელათ ადამიანის ბუნებისათვის მიემართნა, მან აიღო საზოგადოების მამოძრავებელი ძარღვი და ეს უკანასკნელი გამონახა საწარმოვო ძალაში. საწარმოვო ძალის ასეთი თუ ისეთი მდგომარეობა ქმნის ადამიანთა განსაზღვრულ ურთიერთობას, აუცილებელ საზოგადოებრავ ფორმებს, რომლებშიაც პიროვნების ენერგია, როგორც ისტორიული ძალა, მართლაც რომ შეუმჩნეველია. ეს იყო მაშინ საჭირო და მართა ამას აქცევდა ყურადღებას ისტორიული მატერიალიზმიც...

მაგრამ ამგვარ ფორმით გადაჭრილი კითხვა მეცნიერებას ვერ აკმაყოფილებდა. მართალია, რომ საზოგადოებრივი ფორმები აუცილებლათ ქმნიან პიროვნებას, მაგრამ ისიც მართალია, რომ ყოველ პიროვნებას მიუძღვის ცოტა რამ ისტორიაში, და მასსადამე, მართალია ისიც, რომ პიროვნება ქმნის საზოგადოებას... ამის გამორკვევას შეუდგენ და დღეს იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ პიროვნებასაც აქვს აქტიური როლი ისტორიაში.

ამნაირათ, პირველათ ისტორიული მატერიალიზმი პიროვნების როლს ისტორიაში ყურადღებასაც არ აქცევდა, ახლა კი, წინააღმდეგ, ის პიროვნებას მნიშვნელობას აძლევს და კიდევ იკვლევს მის მოქმედებას ისტორიულ პროცესში...

მაგრამ პრინციპიალურათ ამ კითხვის ახსნაში გარჩევა არ არის, გარდა იმისა, რომ მას უყურებდენ სხვა და სხვა მხრიდან... ამის დასამტკიცებლათ მოვიყვანთ ერთი მწერლის (შტეინბერგის) მოსაზრებას, რომელმაც აღიარა პიროვნება, როგორც ისტორიული ძალა *). ეწინააღმდეგება ეს შეხედულება იმ აზრს, რომ პიროვნების როლი ისტორიაში უმნიშვნელოა, თუ არა? აი კითხვა, რომელიც ამ წერილის საგანს შეადგენს.

კითხვის სისწორით დაყენება თითქმის ნახევრათ ხსნის თვით კითხვას. ცნობილი ავტორიც ასე იქცევა. პირველათ ის აქცევს ყურადღებას ამ საკამათო კითხვის დეტერმინი-

ზმთან დაკავშირებას და იძლევა ერთ საყოველთაო გნოსეოლოგიურ შენიშვნას. ჩვენ შეგვიძლია—ამბობს ის—სისტიკურით მივილოთ დეტერმინიზმი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით და ამასთანავე შეგვიძლია უარვყოთ ყოველგვარი სოციალური კანონები. მაგალითათ ავილოთ რომელიმე ისტორიული პირი—გმირი. მსოფლიო დეტერმინიზმის მიხედვით, რომელიც ყველგან აუცილებლობას ხედავს, ჩვენ შეგვიძლია შევხედოთ ამ პიროვნებას, როგორც არა სოციალურის, არამედ როგორც ბიოლოგიური პროცესის შედეგს. აქ ჩვენ ერთი იოტიტაც არ ვუღალატებთ დეტერმინიზმს, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენთვის ხსენებული გმირი წარმოადგენს მოლექულების საუკეთესო კომბინაციას ტენის უჯრედებში... და ეს ხომ ნამდვილი აუცილებლობის ნაყოფი იქნება! მაგრამ მიუხედავათ ამისა აღძრულ კითხვას სრულიად ვერ ავხსნით. რა ნაირათ შეიძლება გავითვალისწინოთ ისტორიული პროცესი, როცა არ ვიცით, შეიძლება, ხვალ ისეთი ძლიერი ინდივიდუალობა გამოიჩეკოს უბრალო უჯრედისაგან, რომ თვით ისტორიის სვლა სხვა გზას დააყენოს?! რასაკვირველია არა, და ამისთვის დეტერმინიზმისაგან სრულიად არ გამოდის ის აზრი, ვითომ პიროვნებას ისტორიაში არავითარი როლი არ ქონდეს... მართალია, მსოფლიო დეტერმინიზმის მიღება აუცილებლათ საჭიროა ყოველგვარ შემეცნებისათვის, რადგან არ შეგვიძლია რამე წარმოვიდგინოთ უმიზეზოთ... მართალია ამისათვის, რომ ვერც ადამიანის მოქმედებას წარმოვიდგენთ სრულ თავისუფლათ, რადგან იმ შემთხვევაში ის ერთსა და იმავე დროს ყველაფერიც იქნება და არაფერიც... მართალია, რომ აუცილებლობა უნდა მივილოთ, როგორც გნოსეოლოგიური პრინციპი... მაგრამ, შტეინბერგის არ იყოს, ჩვენგან დაყენებულ კითხვას ეს სრულიად არ ხსნის. კითხვაც იმაშია, შეუძლია თუ არა აუცილებლათ მოვუხედავოთ თვისი მძლავრი ინდივიდუალობით სხვა მხრით წაიუვანოს ისტორიული სვლა-განვითარება თუ არა?! ეს კითხვა თავისთავათ იწვევს მეორე კითხვას: რა არის საზოგადოათ პიროვნება და რაზეა დამოკიდებული მისი ესა თუ ის მოქმედება?

ყოველი პიროვნება—ამბობს შტეინბერგი—მოქმედობს საზოგადო ფსიხოლოგიურ კანონების მიხედვით. თუმცა ადამიანის ფსიხიკა ისტორიულათ შემუშავდა და მეტის მეტათ გართულდა, მაგრამ ამ გრძელ განვითარების პროცესში ერთი რამ ყოველთვის იყო და იქნება. ეს არის საყოველთაო ფსიხიური კანონები, როგორც მაგალითათ კანონი იდეათა ასოციაციისა, წარმოდგენისა და სხ... ეს კანონები ყოველთვის უნდა ეგულისხმოთ, როცა ადამიანის მოქმედებაზე ვლაპარაკობთ... რა აქვს აქ საკუთარი ადამიანს? არაფერი, გარდა იმისა, რაც სხვას აქვს!..

ამას გარდა, ყოველი პიროვნების მოქმედება დამოკიდებულია კიდევ სპეციალურ კანონებზე, რომელნიც აღმოცენებულან ადამიანთა ურთიერთობაში და იკვლევენ მათ დამოკიდებულებას. ადამიანი დამოკიდებულია იმ საზოგადო წრეზე, რომელშიაც დაიბადა და იზრდება. მაგალითათ, ყოველი ბავში გარეგანი შეხედულებით, ხასიათით, ზნე-ჩვეულებით და სხ. დაახლოვებით თის მშობლების კაპიოს წარმოადგენს. რამდენათ ვითარდება ბავში, იმდენათ ის ხდება სოციალურ არსებათ, ესე იგი საზოგადოებრივობის გამოძახებულათ... თავის თავათ იგულისხმება, რომ ის იკმაყოფილებს არსებულ საჭიროებას და მოთხოვნილებას. მაგრამ რა საშვალებით?... თუ მეცნიერია ის, მაშინ იღებს და ითვისებს ის ყველა მას, რაც რომ მისამდე შემუშავებულა და განვითარებულა. აქ ერთი აზ-

*) С. Штейнбергъ. Роль личности въ исторіи и общественная наука. „Научн Обзор.“ 1902 г. № 5.


რი უმზადებს ნიადაგს მეორეს, მეორე—მესამეს და ასე ამნაირათ, ასე რომ ორიგინალობა დიდი ხნით მომზადებულია, თვით ის ასტრონომიული აღმოჩენა ისეთი გენიოსისა, როგორიც იყო ნიუტონი, მხოლოდ საუკეთესო დასკვნა იყო უკვე არსებულ ციურ მექანიკისა—და მეტი არაფერი... ასევე ხდება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაშიაც. ყოველი განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმა დამოკიდებულია მეორეზე და ყოველი პოლიტიკისი აკმაყოფილებს უკვე წამოყენებულ მოთხოვნილებას. მაგალითათ, კოლბერმა—რომელიც მერკანტილური სისტემის მამა-მთავრათ ითვლება—მხოლოდ შეუწყო სახელმწიფოს საქიროებას ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც უკვე იყო შემოღებული ქალაქებსა და ცეხებში (ამქრულ წყობილებებში). ეს მოვლენა ყველაზე უფრო ნათლათ გამოსჭვივა საწარმოვო აღმოჩენაში. ყოველი ახალი მანქანა მხოლოდ საუკეთესო შემთხვევითი კომბინაციაა უკვე არსებულ საწარმოვო იარაღებისა და სხ...

ამ ნაირათ, ყოველი პიროვნება წარმოადგენს საზოგადოებრივი ფაქტორების შედეგს. მაგრამ ყოველ პიროვნებას ამასთანავე აქვს ისეთი რამ, რაც მას სხვისაგან არჩევს. ეს არის მისი ინდივიდუალობა, ანუ თავისებურება. და ამასაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურ პროცესში. ძნელი წარმოსადგენია ისტორია იმ შემთხვევაში, თუ მისმა შემქნელებმა არ იგრძენეს თავისათ საზოგადო მოქმედება, ფიქრი, გრძობა და სხ. ყოველი ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივობის გამოშატეულია, საზოგადო მოქმედებას გრძობს თავის ნაწილადაც და ამით ძლიერდება მისი ენერჯია და მისწრაფება,

ისტორიაში ყოველი ფაქტი ამ რიგათ ინდივიდუალურია, რადგან ის არასოდეს არ გამოვრდება. და ამ ინდივიდუალურ ფაქტებიდან შედგება კანონიერი სოციალური პროცესი. მაგრამ როგორ ხდება ეს? ამას ნათლათ ხსნის შემთხვევა და კანონი. ყოველი კონკრეტული ისტორიული ფაქტი გამომდინარეობს მეორესაგან, მეორე—მესამესაგან და ასე ამნაირათ,—ასე რომ ყოველ ინდივიდუალურ ფაქტს ჩვენ ვუყურებთ, როგორც ერთს შედეგს წინანდელ ფაქტებისას... მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ ყველა ეს თავისთავათ კანონიერი ფაქტები გადაულდენ ამ ფაქტში და არა სხვაში, მაინც და მაინც განსაზღვრულ მომენტს და განსაზღვრულ წერტილზე, თუ სრული შემთხვევა. მაგრამ ისტორიას ამით მეცნიერული ხასიათი არ ეკარგება. არკრაიტმა რომ საქსოვი ღვიმი გამოიგონა—ეს წმინდა შემთხვევაა, რადგან არავინ იცოდა, რომ მას მხოლოდ ის გამოიგონებდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ საქსოვი ღვიმი უნდა გამოეგონათ მხოლოდ მეურვამეტე საუკუნის ბოლოს, მხოლოდ ინგლისში და არარუსეთში—ეს შემთხვევა აღარაა, რადგან ყველა ეს მაშინდელ წარმოების პროგრესთან იყო დაკავშირებული... ამნაირია კანონი ისტორიული და ისტორიკოსსაც ეს აინტერესებს...

აქედან ნათლათ სჩანს, თუ რა როლი აქვს პიროვნებას საზოგადოთ ისტორიაში და გმირს განსაკუთრებით. ყოველი პიროვნება აქტივური ელემენტია ისტორიაში, რადგან მას შეაქვს თავისი წვლილი სოციალურ პროცესში. ამ მხრით ყოველი პიროვნება, მართლაც ისტორიული ძალია. მეორე მხრით, ყოველი პიროვნება, თუ გინდ შესანიშნავი გმირი, მომქმედია იმის, რაც საზოგადოების აუცილებლობას შეადგენს. ის მხოლოდ ერთი ტალღაა სოციალურ მიმდინარეობაში. ამისათვის მას სხვაფრივ ვერასოდეს ვერ წაიყვანს. და ამ მხრით პიროვნების როლი ისტორიაში უმნიშვნელოა... მკითხველი ნათლათ ხედავს, რომ აქ ორავე მოსაზრებაში კვშმარტებაა. ისინი ერთი მეორეს სრულიად არ ეწინააღმდეგებიან. პირ-

იქეთ, კიდევ ასრულებენ ერთი მეორეს, რადგან ისინი ორი მხარეა ერთი და იმავე კითხვისა.



ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

ზღაპრები.
ფ. ერთი მანეთი.

ჩვენ დარბს საუმაწვილო ლიტერატურას ერთი წიგნი შეემატეს არის ქალების წრისგან გამოცემული ზღაპრები. წიგნი ჩინებულადაა გამოცემული: ქალაღიც, შრიფტიც, სურათებიც... ერთი სიტყვით გარეგნობით წუნდაუდებელია, მარა შინაგანი მხარე კონტრათი მოიკატკლებს. ზღაპრები საზოგადოთ კარგი აურჩევიათ, გარდა უკანასკნელისა. ამ ზღაპარს ჩემი აზრით ადგილი არ უნდა ქონდეს საუმაწვილო წიგნი და ან რატომ: სიზმარა, როგორც შინაგანსიდანა ჩანს, ქრისტიანია და მკარე ცოლს კი თხოულობს. კაცობრიულ მხარეს რომ თავი დაჟანებოთ, ქრისტიანული წესით ორცოლასობა რომ შეუწყნარებელია, ეს ბავშვსაც კარგათ იცის, და მიკვირს, ზატევეცემულ რედაქციას ეს როგორ გამოეზარა. თუ მაინცა და მაინც ამ ზღაპრის გამოშუება ენახებოდათ, განა დიდი საქმე იქნებოდა, სიზმარა თათრათ მაინც გადაენათლათ და სურათზეც ჯგირან ეკატკესიის ნაცვლათ მთვარანი მუხითი დაეხატათ? ამით, ვგანებ, ზღაპარს არაფერი დაუშავდებოდა, წიგნს კი ბევრი შეემატებოდა.

ეს საზოგადოთ ძალიან მძიმე, ნამდვილ ჟამნ-დავითნისაა. ხალხურ ზღაპრებს სწორეთ ხალხური, მსუბუქი ენით უნდა დაწერა და არა „ივერიისებურათ“. წიგნების შემდგენელთ საზოგადოთ და მეტადრე საუმაწვილოთს უნდა ახსოვდეთ, რომ საინტერესო შინაგანსთან ენაც ცოცხალი, მკვირცხლი და მსუბუქი უნდა იყოს. რომ წიგნმა მკითხველი მიიზიდოს.

ზირველი ზღაპარი ჩემი აზრით ვერაა სისწორით ჩაწერილი. ნაცრატქია ჩვენებურ ზღაპრებში ჩია, უღანა კაცათა გამოეჟანილი, რომელიც თავის ჭკუითა და ხერხიანობით ვეება, დონიერ დეეებს იმტრჩილებს. წიგნი კი ნათქვამია, ნაცრატქია ზორბა ტანისა იყო. არ ვიცი, ეს ზორბა რათ დაჭირდათ. მართალია, ზორბა დონიერის სინთნიმი არაა, მარა, როცა ეკსმით ზორბა, უთუოთ გონებაში გაიფლებთ დონიერს. ზორბა, დიდი ტანის კაცი უთუოთ დონიერის უნდა იყოს, თუმცა გამონაკლები კი იქნება.

ფასს ხომ ნუღარს მკითხავთ... როცა ზატევეცემულმა გამოცემულმა ამ წიგნის დასტამებუა განიზრახეს, ალბათ სასეში გაუდვაც ექნებოდათ, მარა არა ვგანებ, რომ ეს წიგნი მანეთათ ბევრმა იუიდას. შეიძლება, „ივერიის“ ენით რომ ვთქვათ, ნებისით თუ უნებლიეთ იუიღონ კიდევ, მარა რა გამოვიდა, წიგნს უნდა ექებდეს მკითხველი და ხალისით უიღულობდეს და არა ხათრიჯამობით.

ჩვენ სულ იმას ვწუწუნებთ, ქართველები დარბიები ვართ, მდიდრი ვატრები და სოფდაგრები არა გვეყვსო და ამისთანა მვირფას წიგნებს კი ვაწვდით ამ დარბს ხალხს.

აღამიანის უჩინარი მტრები.

(გაგრძელება)
1. ხოლერა.

ხოლერის სამშობლო არის ინდო-სტანი, საიდანაც ის არა ერთხელ გავრცელებულა ევროპაში. ეს სნეულება მხოლოდ აღამიანს ემტერება. დანარჩენ ცხოველებში ხოლერა დღემდე ვერ აღმოუჩენიათ.

ზოგიერთ ავამყოფს ხოლერა რამოდენიმე საათის განმავლობაში ასალმებს წუთისოფელს, ზოგი უფრო მეტს ცოცხლობს. ხოლერის ბატერია აღმოაჩინა და შეისწავლა კონბა 1884 წელს. ბატერია არის მოკლე და ცოტა მოხრილი; მო-

ძრავია და სპორებს არ იძლევა. ბაქტერიებს ნაწლავები უყვართ; ისინი ბუდობენ ხოლერის ავადმყოფის ნაწლავებში და აქედან წამლავენ მთელ ორგანიზმს. ხოლერის ბაცილას ადვილათ აშენებენ ახლა კარტოფილზე, ბულიონში, რძეში და სხვ. ის ცოცხლობს წყალში, დიდხანს ძლებს რძეში, გრძობში, სხვა-და-სხვა საჭმელებში და ადამიანიც უმთავრესათ აქედან ხდება ავით.

2. დიფტერიტი.

დიფტერიტი არის როგორც ადგილობრივი, ისე საზოგადო სნეულება; ის ასნეულებს როგორც მთელ ორგანიზმს, ისე ადგილობრივ ყელს. დიფტერიტის ბაცილები აღმოაჩინეს 83—4 წლებში კლებსმა და ლეფლერმა. ბაცილა არის მოგძო და სხვილი ტანის. ის აძხადებს საშინელ შხამს, რომელიც ერევა ადამიანის სისხლს და მთელ სხეულს წამლავს. ეს შხამი განსაკუთრებით მავნებელია გულისათვის. ხშირთ ავადმყოფი მოჩვენაში შედის, მაგრამ ერთბაშათ კვდება გულის სისუსტისა გამო. დიფტერიტის ბაცილები თავისუფლათ მრავლდებიან სხვა-და-სხვა სითხეში, განსაკუთრებით სისხლის წბოლში; მხოლოდ წბოლს ცოტადენი მარილი და შაქარი უნდა მიუმატოთ. დიფტერიტი ღღემდე საშინელი სნეულება იყო, რომელიც მუსრს ავლებდა ბავშებს, მაგრამ ღღეს ბერინგის წყალობით დიფტერიტი საშიშ სნეულებას აღარ წარმოადგენს. სხვა-და-სხვა საშუალებით შესაძლებელია დიფტერიტის ბაცილების დასუსტება. დასუსტებული ბაქტერიების მცირე რიცხვი რომ ცხენს შეასხათ სისხლში, ცხენი ავით ხდება და რამოდენიმე დღის შემდეგ რჩება; ამავე ცხენს რომ უფრო მეტი შეასხათ უფრო ძლიერი ბაცილებით, ცხენი ისევ ხდება ავით, მაგრამ მალე რჩება, შემდეგ კიდევ უფრო ძლიერი ბაცილები რომ შეასხათ და ამ გვარათ ასეთი ცდა რამდენჯერმე გაიმეოროთ, შედეგათ ის მოყვება, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ რამდენიც უნდა შეასხათ სრულიათ საღი ბაცილები, ცხენი აღარ ხდება ავით. მაშასადამე მისი ორგანიზმი ეჩვევა ბაქტერიებთან ბრძოლას, მის სისხლში ჩნდება რაღაც ნივთიერება, რაც ბაქტერიებს ხოცავს. მაშ ასეთი ცხენის სისხლი ყველგან უნდა კლავდეს დიფტერიტის ბაცილებს. ასეთი თეორიული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ბერინგი, როდესაც თავისი წბოლი გამოიგონა. ის ზემოხსენებულის საშუალებით აჩვენებს ცხენს დიფტერიტის ბაცილების ძლევას, შემდეგ ამ ცხენს აცლის სისხლს და წმენდავს; ეს არის დიფტერიტის საწინააღმდეგო წბოლი. ეს წბოლი რომ შეასხათ დაფტერიტიან ადამიანს, ბაცილები იხოცება და ადამიანი რჩება.

3. ხუზარა.

ხუზარათი ჩვენში ხშირათ ხდებიან ავით, რადგანაც ხუზარა საქონლის ავადმყოფობაა; ჩვენში კი ჩვეულებათა აქვთ, — საქონელს რომ შეატყობენ, კვდებაო, დაკლავენ და ქამენ ხუზარაიან საქონელსაც ქამენ და ამის გამო ხშირათ უმეტრების მსხვერპლი ხდებიან. ხუზარას ბაცილები პირველათ დავენმა და რეიერმა აღმოაჩინეს 1850 წელს ავადმყოფი ცხვრის სისხლში. რადგანაც მაშინ ბაქტერიოლოგია, როგორც მეცნიერება, არ არსებობდა და ბაქტერიების როლი გადამდებ სნეულებათა წარმოშობა-მიმდინარეობაში გამოურკვეველი იყო, ამიტომ ზემოხსენებულმა მეცნიერებმაც ვერ გამოაცხადეს, რომ ხუზარა მათ მიერ აღმოჩენილი ბაქტერიის შედეგი ყოფილიყოს; აშკარაა, ამაში არც თვითონ იყვენ დარწმუნებული. მაგრამ რამოდენიმე წლის შემდეგ სხვებმა დაამტკიცეს, რომ ხუზარას დავენისა და რეიერის ბაცილა იწვევდა. ხუზარას ბაცილა მოგძო ტანისაა და სიდიდითა და სისხოთი ყველა ბაცილაზე მეტია. შეენივრათ იზრდება და მრავლდება ყოველგვარ მასაზროვებელ სითხეში, ბულიონში, სისხლში და სხვ. იძლევა სპორას. ხუზარა არის საქონლის და ცხვრის ავადმყოფობა,

თუმცა იშვიათათ, ცხენი და თხაც ხდებიან ავით. საქონლიდან კი ადამიანს ედება: ხორციდან, მატყლიდან, ტყავიდან და სხვ. აუცილებელ პირობას კანის გაკაწრა შეადგენს, თუ ვადაჩინს ხორცის რეცხის დროს, ან სნეული საქონლის ტყავიდან ქრულმნების, ან ტკის კერის დროს კანი გაეკაწრა და შივ ბაცილა შევიდა; ადამიანი აუცილებლათ გახდება ხუზარათი ავით. ასეთი ალაგი ჯერ დაუწითლდება, შემდეგ თანდათან აებურთება, უსივდება, დაუღუღდება და საშინლათ ატკივდება. შემდეგ ადამიანს თანდათან აძლევს სიცხეს და, თუ ექიმმა დროზე არ მიუსწრო, და ბაქტერია სისხლს შეერია, ავადმყოფის მოჩვენა შეუძლებელია. საუკეთესო წამალი დასნეულებული ალაგის ამოქრა, დაწვა, დასერვა და სხვა-და-სხვა დეზინფექციური წამლების დასხმა არის. თუ სნეულება შიგნით გაუჩნდა ადამიანს, ნაწლავებში, მაშინ მისი მოჩვენა შეუძლებელია, რაც უნდა ადრე მიმართოს ექიმს.

4. სახადი.

სახადის მიზეზი არის წაგძელებული ტანის მოკლე ბაცილა, რომელიც აღმოაჩინა 75 წელს ბრაუციმა სახადით სნეულის ტყირაში, ნაწლავებში კი კლებსმა და ებერტმა იპოვეს ხუთი წლის შემდეგ. სხვა-და-სხვა საზრდოში, მაგ. კარტოფილზე, ბაქტერია ადვილათ მრავლდება; ის მოძრავია და სპორებს არ იძლევა. ბაცილა ბუდობს სნეული ადამიანის ნაწლავებში, ასივებს ლორწოიან კანს; შესივებული ადგილები ღბებიან და ამგვარათ ჩდება წელებში პატარა იარები. ამის მიზეზია, რომ სახადიანი ავადმყოფი ჭიპის სწორა ნაწლავების ტკივილსა გრძობს და მის განავალში ხუზარა სისხლი ურევა, რადგანაც ნაწლავების იარებიდან სისხლი დის. ბაცილა თუმცა ნაწლავებს იქით არსად მიდის, მაგრამ ის ამაზადებს ტოქსინს, რომელიც ძლიერ შხამს წარმოადგენს თავის ტვინისათვის; ადამიანს ეძლევა საშინელი სიცხე და იწყებს ბოდვას. თავის ტვინის მოწამლვა ან ნაწლავების გახვევა (თუ იარა ღრმით წავიდა) ხშირათ ხდება ავადმყოფის სიკვდილის მიზეზათ. ბაქტერიოლოგები სხვა-და-სხვა ცხოველებს ასხამენ სისხლში სახადის ბაქტერიებს; ცხოველები სნეულდებიან, ხშირათ კიდევ იხოცებიან, მაგრამ ეს სნეულება სახადს არა გავს: სახადის მიწავგარი სნეულება ამ ბაცილების შემწეობით ცხოველებში ჯერ ვერ გამოუწვევიათ, თორემ შეიძლება მისი საწინააღმდეგო წბოლიც გამოახოს ვინმემ.

5. ქლექი.

მგონი არ მოიოება არც ერთი სიტყვა, რომელიც მეტს შიშს და სასოწარკვეთილებას გამოიწვევდეს ადამიანში, ვიდრე სიტყვა „ქლექი“. ხშირათ შეუნიშნავთ ექიმებს, რომ ქლექიანებს გასაოცარი იმედი აქვთ თავის მოჩვენის, ხანდახან მართლაც რჩებიან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს სიტყვა სასიკვდილო განაჩენია ავადმყოფისათვის. ყოველი ადამიანი იცნობს კარგათ ამ სნეულებას, ყოველმა ადამიანმა იცის, რამდენათ საშიშია ის. დიდი, პატარა, ბრძენი, სულელი, — მისთვის სულ ერთია, — პირიქით თითქო კაცობრიობას დაცინისო, ახალგაზდებსა და ნიქიერ პირებს უფროც ასაღმებს წუთისოფელს. რასაკვირველია ქლექის ბაცილა საზრიანი მტერი არ არის ნიქის, მაგრამ საზოგადოთ ნიქი და შრომის მოყვარება შეერთებული არიან, მომეტებული შრომა ადამიანს ასუსტებს და დასუსტებული ადამიანი კი საუკეთესო ნიადაგს შეადგენს ქლექის ბაცილებისათვის. აი ახალგაზდა ადამიანი ეს ეს არის აპირებს ცხოვრებაში ფეხის შედგმას. მისი არსება მთლათ მაღალი იდეებით არის მოცული; გაპირებულის შევლა და დახმარება, საზოგადოების სამსახური, ყოველგვარი კეთილი საქმის ხელის შეწყობა, მამულის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ბრძოლა უსამართლობასთან, ბრძოლა ბოროტებასთან, — აი რა ასულდგმულებს მას. დაიბუდა იმის ფილტვებში სა-

მაგელმა ბაცილამ, რომელიც ათასჯერ უნდა გადადიდოთ, რომ წვრტილის ოდენათ გამოჩნდეს, და ყველა მისი იდეალი, მიზანი, სურვილი, მისწრაფება—ამაობათ უნდა იქცეს! ხა, ხა, ხა! თურმე პატარა ბაცილასთან ბრძოლა კი არ შემძლებია! აი ახალგაზდა შეყვარებული, რომელსაც დედამიწა თვალგადუნწედნელ წალკოტათ მიანიხია, ცხოვრება ნეტარების დაუშრეტელ წყაროთ. ის აწმყოთი ბედნიერია, მომავალს ნეტარებით შეცქერის. ყოველი მისი ფიქრის, გრძნობის, სურვილის ფოკუსათ მისი საყვარელი არსება გამხდარა; მასთან შეერთება, მასთან ცხოვრება, მასთან ჭირისა და ლხინის გაზიარება,—რა ბედნიერებაა!.. და ერთმა საძაგელმა ბაცილამ მთელი მისი არსება, მისი უსაზღვრო სიყვარული არარაობათ აქცია და იმის ბედნიერება ნიავს გაატანა! აი ახალგაზდა პოეტი. მის ყოველ სიტყვას ყველა გაფაციცებით ისმენს, მის ყოველ სტრიქონს ყველა მოუთმენლათ მოელის; მასში ყველა მომავალ გენიოსს ხედავს; ის გრძნობს ამას; მან იცის, რომ შეუძლია ლიტერატურის გარდაქმნა, კაცობრიობის გრძნობა-გონების გაფაქტება, გაქორწელების გულში ნუგეშის სხივის შემუქება, უძლურის აღფრთოვანება, სწეულის განკურნება. ის შორიდანვე გარკვევით ხედავს თავის მომავალს: ღიღების გვირგვინი ადგია თავს, მადლიერი ხალხის სიყვარული უზომო გუნდრუკს უქმევს, ის ამაცობს თავის თავით, რადგანაც ხედავს, რომ საზოგადოებას დიდი სარგებლობა მოუტანა... გაჩდა უჩინარი ბაცილა და ახალგაზდა პოეტი მთელი მისი მომავალით და აზრებით სიზმრათ აქცია!.. რამდენ ასეთ მაგალითს ჩამოგითვლიდი, მკითხველო, ჩემ მიერ შეთხზულს კი არა, ნამდვილი ცხოვრებიდან აღებულს, მხატვრის ნიჭის აჩრდილი ჩემთვისაც რომ ერგუნებია ბუნებას, ახლა კი უეჭველია ამ მცირე მაგალითებითაც შეგაწყინე თავი.

რამდენ ადამიანს უბზობს გულში თავის სურვილსა და მისწრაფებას, რამდენ სპეტაკ აზრებსა და განზრახვას აქარწყლებს ეს პატარა ქლექის ბაცილა. ის ისე საძაგლათ, საზიზღრათ და მკაცრათ დაცინის ადამიანს, რომ მეფისტოფელი მასთან ანგელოზია. მარტო ის ცრემლები რომ მოაგროვოთ ერთათ, რომლებიც ამ ბაცილებს ჭირისუფალისათვის დაუღვრევენებით, მეორე წარღვნა დატრიალდებოდა! იქნება ყოფილხარ როდისმე, მკითხველო, ასეთი კონტრასტის მოწამე: გაზაფხულია. ცა და დედამიწა ორივე ხარობს, ერთი მეორეს შიტრფიან. აფერადებულ ბუნებაში სიცოცხლე დულს და გადმოდის; მყრალი კაკიას ფურცლებიც კი იმდენათ ლამაზია ამ დროს, რომ თავისკენ გიზიდავთ; ყოველგან და ყოველისფერში სიხარულს, სიცოცხლის ძლიერებას და სურვილს კითხულობთ. ახალგაზდა ქლექიანი კი ამ დროს სიცოცხლეს ესალმება და თითონვე გრძნობს თავის ნელანელა გაქრობას*). რა მოსისხლე მტერიც უნდა იყოთ მისი, შეუძლებელია, არ შეგენახოთ. რა თავგანწირვითაც უნდა გიყვარდეს ის, უძლური ხაროთ, უძლური,—თავიც რომ მოიკლათ, მისი გადარჩენა არ შეგიძლიათ; თქვენც, მომაკვდავიც და ყველა აქ მყოფი გრძნობთ თქვენ უძლურებას... და თუ დასწრობიხარ, მკითხველო, ასეთ სურათს, განა შეგიძლია, კიდევ თქვა: ქვეყნიერებაზე ყოველივე ბრძნულათ არის განწესებული; ყველგან და ყოველისფერში შემოქმედის სიბრძნე და საყვარული ღალადებსო? ნუ თუ შეგიძლია თავი შეიკავო და იმ წამს მაინც არა თქვა, რომ ადამიანი თავისი ღიღ ტენით, რომლითაც მას ასე მოაქვს თავი, იმდენათვე საბრალო და საცუადეია, რამდენათაც ფუმფულა!..—ეჰ,

*) ქლექიანების უმეტესი წილი ან გაზაფხულზე კვდება ან შემოდგომაზე, და ქლექით მომაკვდავს გულის უკანასკნელ ცემაზე შერჩება ხალხე სრული გონება.

მახლას! თქვა შექსპირმა, როდესაც კვდებოდაო, გამოგონია; რა თქმა უნდა, შექსპირი ამას ვერ იტყოდა, მაგრამ ჩვენ კი ხშირათ უნდა ვთქვათ ხოლმე!.. ახლა კი ისევე ქლექის ბაცილას დავუბრუნდეთ. ქლექი უძველესი სწეულებაა, მძღებთავე ძველი, როგორც ადამიანი. ცხოვრებამ ხალხს დაუმტკიცა, რომ ქლექი გადამდები სწეულებაა, და ამიტომ ხალხს მისი ძალიან ეშინოდა. თუმცა ჩვენ ხალხს გრძნობის სიჩლუნგეს ვერ დაწამებს ადამიანი, მაგრამ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ზემო იმერეთში ქლექის წინააღმდეგ საზიზღარ ზომებს ხმარობდენ და ზოგიერთ მივარდნილ კუთხეებში ხანდახან, მგონი, დღესაც ხმარობენ. ქლექით ავითმყოფს ცალკე სახლში გამოამწყვდედენ და ყველა მოშორდებოდა; ამ გვართ ავითმყოფი უპატრონოთ კვდებოდა. უფრო ხშირათ კი ქლექით ავითმყოფს ტომარას ჩამოაცვამდენ თავზე, გაგულავდენ და ტომრიანა დამარხავდენ. ხალხის აზრით ქლექს მავნე სული იწვევდა და ასეთი საშუალებით იმედი ქონდათ, მავნე სულს ავითმყოფიდან არ ამოვეუშვებთ, მასთან ერთათ მოგვუდავთ და დავმარხავთო. ორივე ამ საშუალებას ხალხი მაშინ მიმართავდა ხოლმე, როდესაც ქლექიანი უკანასკნელ პერიოდში იყო და რამოდენიმე დღის ან კვირის შემდეგ უნდა გათავებულიყო. ქლექის ბაცილები პირველათ აღმოაჩინა კოხმა ქლექიანის ნახველში და ფილტვებში 82 წელს და მანვე მოაშენა ეს ბაცილები ადამიანს გარეშე სხვა-და-სხვა საზრდოში. ამით გაითქვა კოხმა სახელი, მაგრამ ამავე ბაცილამ მოცხო ქუქუკი მის სახელს. ქლექის ბაქტერია სხვა ბაქტერიებთან შედარებით მორჩილი ტანის არის; მორგვალელები ბოლოები აქვს და ოდნავ მოხრილია. სპორას ამზადებს თუ არა, არ არის დამტკიცებული, თუმცა ბევრი ფაქტი ექვს გარეშე ყოფს, რომ ეს ბაცილა სპორას უნდა ამზადებდეს. ბაცილა კუტია, თავის თავათ მოძრაობა არ შეუძლია. ყველა შინაური (ხოველი და ფრინველი სწეულდება ქლექით, როგორც ადამიანი, თუმცა მათ შორის სწეულება ისე გავრცელებული არ არის, როგორც ადამიანის საზოგადოებაში. ქათმის ავითმყოფობა, რომელსაც ხალხი ქათმის ჭირს ეძახის და რომელიც შინაურ ფრინველს საშინლათ ანადგურებს, იგივე ქათმის ქლექია. მხოლოთ ბევრი მეცნიერი ამტკიცებს: ფრინველის ქლექისა და ადამიანის ქლექის ბაცილები სხვა-და-სხვანა არიანო; ეს კითხვა ჯერაც გადუწყვეტელია მეცნიერებაში. რადგანაც ქლექის ბაცილა უმთავრესათ ფილტვებში დაიბუდებს ხოლმე, აქედან ცხადია, რომ ადამიანიც უმეტეს შემთხვევაში ჰაერიდან ხდება ავით. ქლექის ბაცილა ადამიანზე ორ გვართ მოქმედობს: ერთი რომ ის ახდენს ფილტვებს და ამგვართ აკლებს ადამიანის ტანს მუყაბადს, რომელიც სიცოცხლისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას შეადგენს, წამხდარი ფილტვები კი სისხლს ვეღარ წმენდავენ ხეირიანათ და იქ გროვდება მავნებელი ნახშირმჟავე გაზი (CO₂); მეორე და უმთავრესი გარემოება ის არის, რომ ქლექის ბაცილა ამზადებს ერთ გვარ ტოქსინს, რომელიც საშინელ შხამს წარმოადგენს ტანის ყოველი უჯრედისათვის. ზოგიერთი ქლექით დასწეულელებული ორი-სამი კვირის განმავლობაში ისე ჩამოყრის ხოლმე ხორცს, თითქოს დიდი ხნის მძიმე ავითმყოფობა ან შიმშილი გამოყაროს. ხშირათ ქლექი ჯერ იმდენათ არ განვითარებულა, რომ რაიმე ნიშანით გამოაშკარავებულიყოს, ავითმყოფი კი თითქო უმიზეზოთ ხდება და მახლობლებს უკვირთ, რამ გახადა ასეო. ყოველივე ეს ნათლათ ამტკიცებს, რომ ქლექის ბაცილას შხამი ტანის ქსოვილებს ასუსტებს, მის უჯრედებს სასიცოცხლო ენერგიას აცლის. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ სხვა-და-სხვა სწეულებით გარდაცვალებულებში მეშვიდედი ქლექს ეკუთვნის, ე. ი. მართო ქლექით კაცობრიობის თითქმის მეშვიდედი კვდება. ქლექის ბაცილები აჩენენ აგრეთვე თავის ტვინის ანთებას, რაც

